პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 183 (15093)

12 აგვისტო ხუთშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

მათ ისახელეს თავი

ოცი წლის წინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომანქანა. მას შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა საწარმო. ახალმა ტექნიკამ, პროგრესულმა ტექნოლოგიამ მანქანათმშენებლებს საშუალება მისცა სრულყოფილი გაეხადათ მანქანების კონსტრუქციები, აეთვისებინათ 80 სხვადასხვა სახის მანქანების მოდელები. ქუთაისური თვითსაცლელები მძლავრმა ავტომატარებლებმა შეცვალეს.

ყველა პროგრესული ცვლილება, რაც საწარმოში ამ უკანასკნელ ხანს მოხდა, ქარხნის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგია. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა წარმატებით აითვისეს მანქანათმშენებლობის რთული პროფესიები. მოკლე ხნის მანძილზე საწარმოში მაღალკვალიფიციურ მუშათა სახელოვანი თაობა ალიზარდა.

ქარხანაში მოწინავე მდნობელის სახელი დაიმკვიდრა ანზორ შარაშენიძემ. ახალგაზრდა მუშა დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

• • •

სურათზე: ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მოწინავე მდნობელი ა. შარაშენიძე.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).



სადღეისო საზრუნავი

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანად არის აღიარებული. ეს დარგი ჯერ კიდევ განიცდის ჩამორჩენას. ამიტომ მას სერიოზული ყურადღება დაუთმო პარტიის XXIV ყრილობამ, რომლის დირექტივებში ვკითხულობთ: „კიდევ უფრო განვავითაროთ მეცხოველეობა და ამისათვის თვითეულ მეურნეობაში განვახორციელოთ საკვები ბაზის განმტკიცების ეფექტიან ღონისძიებათა სისტემა, გავაუმჯობესოთ პირუტყვისა და ფრინველის ჯიშიანობა და გავადიდოთ მათი პროდუქტიულობა. ამავე დროს გავზარდოთ მათი სულადობა“.

ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგის მუშაკებმა გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ ამრავლონ წარმატებები, გამოასწორონ ნაკლოვანებანი, მეცხოველეობა გადააქციონ რენტაბელურ დარგად. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში კარგი თაოსნობა გამოიჩინეს წითელწყაროსა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხოველეებმა, რომლებმაც ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს 1971 წლისათვის და მთელი ხუთწლედის მანძილზე. ასევე მოიქცნენ რესპუბლიკის მეცხოველეობის სხვა რაიონებიც. ჯერი მიდგა ვალდებულებათა შესრულების პრაქტიკულად უზრუნველყოფაზე.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ცუდად როდი იმუშავეს მეცხოველეებმა, მაგრამ დიდი სამუშაო წინ არის. ახლა, ამ ზაფხულში დგება მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხი. უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი საზოგადოებრივი პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ბევრი სამუშაოა შესასრულებელი საზამთრო საძოვრებზე. ამთავითვე წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პირუტყვის ბინები, დადგენილ ვადებში დავამთავროთ არსებული ბინების რემონტი, ახალი სადგომების მშენებლობა. საკმარისად მოვიმარაგოთ თივა და სხვა უხეში საკვები, ყუათიანი სილოსი, კონცენტრირებული საკვები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებრივი პირუტყვის გამოსაკვებად მარტო ზამთრის პერიოდში საჭიროა სულ ცოტა ორი მილიონი ტონა საკვები ერთეული.

ამიტომ აუცილებელია გავაძლიეროთ ყველა სახის საკვების დამზადების ტემპი. მით უმეტეს, რომ ეს ახლა უფრო საჭიროა, რადგან ზაფხულის გვალვებმა ერთგვარად შეაფერხა ბუნებრივი და ნათესი ბალახების ზრდა-განვითარება. საქმის ინტერესები მოითხოვს ვთიბოთ ბალახი სწრაფად, აგროტექნიკურ ვადებში, არ დავუშვათ ბალახების გადამწიფება და დანაკარგები. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით ბუნებრივი და ნათესი ბალახები გათიბულია გეგმის 55 პროცენტი. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, გარდაბნის, ხაშურის, კასპის, მცხეთის რაიონებში, რომლებმაც თიბვის გეგმები შეასრულეს. ჯერ კიდევ დიდძალი თივა და სხვა უხეში საკვები უნდა დაამზადონ ქარელის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, მარნეულის, ბოლნისის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და სხვა რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მეცხოველეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საკვების წარმოების დაბალი დონე. ბევრ მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საკვები კულტურების მოვლა-დამუშავებას, საჭირო რაოდენობით მაღალხარისხოვანი და ყუათიანი საკვების დამზადებას. დაბალია ნათესი ბალახების, ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების მოსავლიანობა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის უნდა დაირაზმონ რესპუბლიკის მეცხოველეები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სპეციალისტები. უნდა გავზარდოთ პასუხისმგებლობა მეცხოველეობის მდგომარეობისათვის თვითეულ მეურნეობაში. გავაძლიეროთ მომთხოვნელობა მეურნეობათა ხელმძღვანელობისადმი, საფუძვლიანად შევამოწმოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და დავსახოთ ღონისძიებანი პირობის უთუოდ შესრულებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ რაკი ვალდებულება იკისრე, მას კანონის ძალა აქვს. იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. ჩვენ გვესაჭიროება არა საზეიმო დაპირებები, არამედ ნამდვილი საქმე, გაწეული მუშაობის კარგი შედეგები. სწორედ ამის მიხედვით უნდა შეფასდეს მეურნეობათა ხელმძღვანელების, მეცხოველეობის მუშაკების საქმიანობა.

სანამ გვიან არ არის, საჭიროა პურეულის მოსავლის აღებისთანავე უხვად დავამზადოთ და დავაბინაოთ ნამჯა, გავადიდოთ ნაწვერალზე სიმინდის ნათესი ფართობები. ეს შეავსებს სილოსის დიდ დანაკლისს. სილოსი პირუტყვის ძვირფასი წვნიანი საკვებია! იგი მნიშვნელოვნად ზრდის წველადობას. ამისათვის მაქსიმალურად გამოვიყენოთ სარწყავი ფართობები, წესრიგში მოვიყვანოთ სარწყავი სისტემა. წელს გეგმით უნდა დამზადდეს 822.703 ტონა სილოსი, ვალდებულებით — ერთ მილიონ ტონამდე. ეს სამუშაო ახლა იწყება. საჭიროა ამთავითვე მივიღოთ გადამჭრელი ზომები სილოსის დამზადების გეგმისა და ვალდებულების შესასრულებლად.

საზოგადოებრივი პირუტყვის საკვების წარმოებისათვის უნდა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, ყველა საშუალება. ასეთი რეზერვები კი არის. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ვაზის ანარჩენებიდან ვიტამინიანი ფქვილისა და საკვები საფუარის წარმოება, კოფეინის ქარხნებისა და ეთერზეთოვანი კულტურების ნარჩენების, აგრეთვე ჰაჯის საკვებად გამოყენება. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, ზოოვეტღონისძიებათა მოთხოვნების სრულად, დროულად განხორციელებას. ამ საფუძველზე წელს და ხუთწლედის თვითეულ წელიწადში უნდა მივაღწიოთ ხორცის, რძის, მატყლის და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებისაგან, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისაგან მოითხოვს გონივრულ, დაძაბულ მუშაობას.

მთელი ენერგია, ცოდნა მოვახმაროთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების სადღეისო პრობლემების ხასახელოდ გადაჭრას. უზრუნველვყოთ მეცხოველეობის ყველა დარგის რენტაბელობა. უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე. ეს არის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სადღეისო საბრძოლო ამოცანა.

ხუთწლედი — ვადამდე!

რვა წელია, რაც ნინო მამისაშვილი თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში შრომობს. იგი საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე მქსოველია, ცვლის დავალებებს ყოველთვის 128-130 პროცენტით ასრულებს.

მაგრამ ნ. მამისაშვილი პროდუქციის გამოშვების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ნიადაგ ზრუნავს ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის და ამ მხრივაც სამაგალითო მაჩვენებლებს აღწევს.

ნ. მამისაშვილი ნაყოფიერად შრომობს და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. ახალგაზრდა კომუნისტი საქსოვი საამქროს პარტჯგუფორგია.

• • •

სურათზე: თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე მქსოველი, კომუნისტი ნ. მამისაშვილი.

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)



მეორე ადგილზე საბჭოთა კავშირში

მოსკოვიდან ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მიიღეს ცნობა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საწარმოს კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კოლექტივი მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებებს აღწევს. აქ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ვადამდე შესრულდა მიმდინარე წლის შვიდი თვის ნომენკლატურის პროგრამა, ხოლო თვის პირველი დეკადის გეგმა 9 აგვისტოს შეასრულეს. (საქდესი).

თავდადებული შრომით

● თბილისი. მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია „ფაბრიკა „სატრიკოტაჟის“ (დირექტორი ჯ. მახარაძე) კოლექტივმა. ფეიქრებმა შვიდი თვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 102,8 პროცენტით, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 82 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ მქერავები ო. ჩიტაური, ნ. ნონიაშვილი, მქსოველი ს. ჩახვაშვილი, მღებავები ა. ჩერნოვა, ზ. ჩაველიშვილი და სხვ.

● ზესტაფონი. (საკ. კორ.). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობის საპასუხოდ თავდადებით იბრძვის წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის. მეტალურგებმა გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის გეგმა და კარგად მუშაობენ აგვისტოშიც. მარტო მეორე სადნობი საამქროს კოლექტივმა, რომელმაც ახლახან მოიპოვა კომუნისტური შრომის საპატიო წოდება, წელს ოთხ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგა. წარმატებით მუშაობს პირველი საამქროს კოლექტივიც, რომელიც ხუთი წელია კომუნისტური შრომის საამქროს წოდებას ატარებს.

ახლა ქარხნის 76 ბრიგადა ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას, ხოლო 835 კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. გელაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი გრ. ნანიტაშვილი; პირველობას არ თმობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ზ. ბუცხრიკიძე, ლ. გაჩეჩილაძე, ლ. კობახიძე, ა. ჭურაძე ხელმძღვანელობენ.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი

10 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. მიჩუნოვიჩი, რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს პირადი წერილი. ლ. ი. ბრეჟნევსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოველ ელჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ხელშეკრულება წარადგინეს სარატიფიკაციოდ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად წარადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ნიუ-დელში 1971 წლის 9 აგვისტოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და დასკვნისათვის გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს. (საქდესი).

საქმიანი თანამეგობრობა

კომპლექსურ პროგრამაში, რომელიც მიიღეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიაზე, აისახა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთობის მეგობრული, ძმური ხასიათი. ამის მკაფიო მაგალითია, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ქიმიური სასუქების წარმოების დარგში.

როგორც ქიმიური მრეწველობის სამინისტროში უთხრეს საქდესის კორესპონდენტს, ასეთმა თანამშრომლობამ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს საშუალება მისცა ერთობლივად შეემუშავებინათ ახალი კატალიზატორები და კატალიზური პროცესები, რომელთა შედეგად ერთიორად გაიაფდება ამიაკის წარმოება, რაც ესოდენ საჭიროა მინერალური სასუქების მისაღებად. ამ მიმართულებით წარმატებით ძიებას საბჭოთა ქიმიკოსებთან ერთად ეწევიან ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტები და მერზებურგისა და შვედტის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ქიმიური ქარხნების მუშაკები.

ამ ბოლო დროს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა შემოიღეს ერთიანი სტანდარტები აზოტიანი სასუქების ხარისხის განსაზღვრისათვის, შეიმუშავეს ერთიანი მოთხოვნები მთელ რიგ სხვა სახეობათა ქიმიური პროდუქციის, კერძოდ, ამონიუმის გვარჯილის ხარისხისადმი.

შეიქმნა და მოქმედებს ქიმიური ობიექტების ერთობლივი დაპროექტების სამუშაო ჯგუფი. უკვე შეძენილია ამ სამუშაოთა კოოპერირების მნიშვნელოვანი გამოცდილება. მაგალითად, ნოვგოროდის ქიმიურ კომბინატში წელიწადში ხუთი ათასი ტონა ამიაკის სიმძლავრის ქარხანა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დამპროექტებელთა პირმშოა.

„ატრაქციონ-71“

10 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა თანამედროვე ატრაქციონებისა და გასართობი ავტომატების უცხოეთის სპეციალიზებული გამოფენა „ატრაქციონ-71“. ამ უჩვეულო დათვალიერების ბევრი ექსპონატი, რომელიც პირველად ეწყობა საბჭოთა კავშირში, განლაგებულია მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკსა და იზმაილოვის პარკში. ბევრი საინტერესო ექსპონატი წარმოადგინეს დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ნიდერლანდების, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ფირმებმა (საქდესი).

პროფესიაში საუკეთესონი

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ფოლადის მაგისტრალის მუშაკებს, რომლებმაც გვიჩვენეს შრომის მაღალი ნიმუშები, მიენიჭათ პროფესიაში საუკეთესოთა წოდება.

მათ შორის, ვისაც ეს წოდება მიენიჭა, არის სამტრედიის დეპოს ელმავლის მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი ვ. ვ. სტურუა. იგი არის ინიციატორი სოციალისტური შეჯიბრებისა ლოკომოტივების მარაგი მუშაობის ვადების შემდგომი გადიდებისათვის. ვ. სტურუამ თითქმის ერთიორად გადააჭარბა სამაგისტრალო ელმავლის რემონტშორისი გარბენის ნორმას და მარტო წლის დამდეგიდან ნახევარ მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. საპატიო წოდება დაიმსახურა აგრეთვე ნაითლუღის სატვირთო სადგურის მატარებელთა შემადგენელმა გ. ი. მახარაშვილმა. მან საშუალოდ 25 წუთით შეამცირა თვითეული მატარებლის შედგენისა და დაშლის დრო, რის შედეგადაც დამატებითი დატვირთვისათვის განთავისუფლდა 400-ზე მეტი ვაგონი.

პროფესიაში საუკეთესოთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული დისტანციის ელექტროსატვირთავის მძღოლი ა. ი. ჩიგაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის ირევნის განყოფილების დისპეტჩერი ვ. ვ. გრიგორიანი, სამტრედიის დეპოს ვაგონების შემმოწმებელი გ. ა. ფრანგიშვილი, თბილისის საკვანძო დეპოს შემოწმების პუნქტის ზეინკალი მ. გ. ირემაშვილი, სოხუმის ენერგომომარაგების უბნის მექანიკოსი ა. გ. კუპრეიშვილი, თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსები ვ. ა. დავითაშვილი და ა. ლ. ნიორაძე.

(საქდესი).

ტურისტულ ბაზაში

ზუგდიდის ტურისტულ ბაზაში საიდან არ მოდიან მოგზაურობის ახალგაზრდა მოყვარულნი — ლიტვიდან, ლატვიიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, ჩელიაბინსკიდან, კიევიდან, მინსკიდან და სხვა ქალაქებიდან. აქ ნახავთ აგრეთვე სტუმრებს საზღვარგარეთიდან, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდან.

ბაზაში ჩამოსული ტურისტები ქ. ზუგდიდში ათვალიერებენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ბოტანიკურ ბაღს და სხვა ღირსშესანიშნაობებს. შემდეგ ტურისტები მიემგზავრებიან სვანეთისაკენ.

ბ. ალშიბაია.

ზღვისპირეთის ახალი მშვენება

ხობი. (საკ. კორ.). ყულევი ძველთაგანვე ჟამრავ დამსვენებელს იზიდავდა. იგი ყურადღებას იქცევს ჰავის შესანიშნავი პირობებით, ძვირფასი პლაჟით. ეს უბანი ხასიათდება აგრეთვე ზომიერი ქარით და ზამთრის თბილი დღეებით. ამიტომ უთუოდ კარგი საქმე გააკეთეს ხობის რაიონულმა ხელმძღვანელებმა, რათა ყულევი ზღვისპირეთის მშვენებად — ბავშვთა კურორტად ექციათ.

პირველ რიგში მოეწყო კარგი სავალი გზები. გაყვანილ იქნა ელექტროგანათება, რადიო, ტელეფონი. დაიდგა ლამაზი დასასვენებელი კოტეჯები, ძველები კი შეკეთდა. საკურორტო ზონას ღობე შემოავლეს და გაამწვანეს. გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ორი წელია აქ რესპუბლიკური პიონერთა ბანაკია გახსნილი. სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული ასობით პიონერი იკაჟებს ჯანმრთელობას. გარდა ამისა, აქ კოლმეურნეებიც და მუშა-მოსამსახურეებიც ისვენებენ.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის იწყობა სანატორიული ტიპის დასასვენებლები.

სართულები მაღლა მიიწევენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინისა და ნიკოპოლის ქუჩებზე აღიმართა რვასართულიანი საცხოვრებელი შენობები.

მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე აგრეთვე ჩამწკრივდა ხუთი რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი, აქვე შენდება თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება. ეს პირველი თოთხმეტსართულიანი სახლი იქნება ჭიათურაში.

ახლახან ს. შაუმიანის ქუჩაზეც წამოიმართა რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც მალე 48 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლობას.

შეხვედრა მუზეუმში

აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა შეხვედრა მოაწყო შრომის ვეტერანებთან.

საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ახვლედიანმა. მოხსენება თემაზე — „მუშათა და გლეხთა სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა რევოლუციამდელ აჭარაში“ გააკეთა ისტორიის განყოფილების გამგემ ა. დავითაძემ.

შეხვედრაზე მოგონებებით გამოვიდნენ ძველი რევოლუციონერები.

მუზეუმთან შეიქმნა შრომის ვეტერანთა საბჭო.

გ. ჩხაიძე.

საქართველოს
მთა-ბარში

სად როგორ სრულდება რძის წარმოების გეგმა

ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1 აგვისტოსათვის (კილოგრამობით)

	1970 წ.	1971 წ.	1971 წ. 1970 წ. პროცენტობით
ახალქალაქის	1079	1239	115
ბოგდანოვკის	1134	1328	117
ახალციხის	955	1001	105
ადიგენის	813	865	106
ასპინძის	447	567	127
ხაშურის	830	804	97
ქარელის	756	818	108
გორის	1089	1106	102
კასპის	699	784	112
ბორჯომის	991	1010	102
საგარეჯოს	798	814	102
გურჯაანის	779	817	105
სიღნაღის	756	841	111
წითელწყაროს	1107	1146	104
თელავის	728	758	104
ახმეტის	915	870	95
ყვარლის	642	681	106
ლაგოდეხის	925	909	98
გარდაბნის	1161	1204	104
მცხეთის	893	836	94
მარნეულის	851	872	102
ბოლნისის	729	785	108
წალკის	991	1039	105
დუშეთის	618	652	106
თეთრიწყაროს	853	893	105
დმანისის	953	1051	110
თიანეთის	623	661	106
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	534	542	102
ცხინვალის	704	671	95
ჯავის	558	525	94
ლენინგორის	375	456	122
ზნაურის	446	471	106
წყალტუბოს	779	685	88
სამტრედიის	850	851	100,1
წულუკიძის	592	616	104
ვანის	948	924	97
მაიაკოვსკის	642	650	101
ზესტაფონის	776	727	94
თერჯოლის	995	1072	108
ჭიათურის საქალაქო საბჭო	664	720	108
საჩხერის	979	980	100,1
ორჯონიკიძის	968	981	101
ტყიბულის საქალაქო საბჭო	959	951	99,2
ონის	584	587	100,5
ამბროლაურის	655	708	108
ცაგერის	326	354	109
ლენტეხის	365	425	116
აბაშის	595	723	104
ცხაკაიას	698	689	99
გეგეჭკორის	412	502	122
ზუგდიდის	991	892	98
ხობის	746	725	97
წალენჯიხის	681	563	83
ჩხოროწყუს	631	635	100,6
მახარაძის	1053	1057	100,4
ლანჩხუთის	852	883	104
ჩოხატაურის	425	435	102
მესტიის	404	347	86
აფხაზეთის ასსრ	631	606	96
სოხუმის	390	351	90
გულრიფშის	496	391	79
გალის	482	443	92
გაგრის	1318	1438	109
გუდაუთის	501	464	93
ოჩამჩირის	572	526	92
აჭარის ასსრ	764	764	100
ხელვაჩაურის	1398	1377	99
ქობულეთის	1128	1077	95
ქედის	475	479	100,8
ხულოს	542	529	98
შუახევის	485	514	106
სულ	821	857	104

შენიშვნა: თელავის, მარნეულის, აბაშის, ცხაკაიას, გულრიფშის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების 1970-1971 წლების მონაცემები შესადარი არ არის, რადგან ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობა-ქარხნები 1970 წელს გარდაიქმნა საბჭოთა მეურნეობებად, ხოლო 1970 წლის მონაცემები გადაანგარიშებული არ არის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების, საკავშირო პროფსაბჭოსა და პროფკავშირების საქალაქო ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით განიხილა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი.

მოხსენება სხდომაზე გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ტ. ი. სოკოლოვმა. მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები. პროფკავშირთა მთელი რიგი ცენტრალური კომიტეტებისა და საბჭოების თავმჯდომარეები და მდივნები. საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების ხელმძღვანელი მუშაკები.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი შემუშავებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად და ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე. ამავე დროს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სთხოვა გაითვალისწინოს ის წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა ხუთწლიანი გეგმის პროექტის განხილვისას. (საქდესი).

მსოფლიო დღეს

მშვიდობის, უშიშროების ახალი ფაქტორი

ბევრი ქვეყნის პრესა, საზოგადო მოღვაწეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერისადმი. კომენტარებსა და განცხადებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და აზიის მშვიდობის დაცვისათვის.

დელი. ინდოეთის პარლამენტი მიესალმა სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას. ინდოეთის მთავრობის ამ ღონისძიებას „საყოველთაოდ დაუჭირეს მხარი", ხაზს უსვამს ინდოეთის პრესის სააგენტო.

„დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ინდოეთის საგარეო პოლიტიკაში". „ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა". „ხელშეკრულება, რომელიც ასახავს ინდოელი ხალხის ნებას". „მნიშვნელოვანი დღე ინდოეთის ისტორიაში" — ასე დაახასიათეს ინდოეთის პარლამენტის დეპუტატებმა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების დადება.

კაირო. კაიროს პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მიზნად ისახავს განამტკიცოს მშვიდობა არა მარტო აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულება, წერს გაზეთი „ალ-ახბარი", „ითვალისწინებს ორი ქვეყნის ერთობლივ ბრძოლას მშვიდობისა და სამართლიანობისათვის".

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესა ბეჭდავს ტასს-ის ცნობას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების დადების შესახებ და აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში, კერძოდ, წერს, რომ ხელშეკრულება ადასტურებს სსრ კავშირისა და ინდოეთის კავშირ-ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ტოკიო. იაპონიის ყველა წამყვანმა გაზეთმა საკდესის დამოწმებით დაბეჭდა ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსი. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულებას, აღნიშნავს გაზეთი „ასახი", ეპოქალური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. იგი ხელს შეუწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უშიშროების უზრუნველყოფას.

(11 აგვისტო, საკდესი).

ჟენევა

განიარაღების კომიტეტში

11 აგვისტო. (საკდესი). ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღისა და ტოქსინების მარაგის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვისა და მათი მოსპობის შესახებ კონვენციის ახალ გადასინჯულ პროექტს, რომელიც წარადგინეს განიარაღების კომიტეტის განსახილველად, მხარს უჭერს და იწონებს კომიტეტის ბევრი წევრი.

გუშინდელ სხდომაზე გამოსვლისას. ინგლისის, პოლონეთის, იტალიისა და კანადის წარმომადგენლები ერთსულოვნად მიესალმნენ ამ ინიციატივას და აღნიშნეს, რომ კონვენციის პროექტი ახლანდელი სახით ითვალისწინებს დისკუსიის დროს გამოთქმულ ბევრ თვალსაზრისსა და სურვილს და შეიძლება კარგი საფუძველი გახდეს საბოლოო დოკუმენტის შემუშავებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე მისი წარდგენისათვის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა — სოციალისტური ქვეყნების მიერ შეტანილი კონვენციის გადასინჯული პროექტის ერთ-ერთმა თანაავტორმა — ე. ნატორფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად არის რეალური წანამძღვარი, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება კონკრეტულ საკითხზე, სახელდობრ სახელმწიფოთა არსენალებიდან ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის — ბაქტერიოლოგიური იარაღის ფიზიკური მოსპობისა და გამორიცხვის საკითხზე.

პოლონეთის, უნგრეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციათა სახელით ნატორფმა შეიტანა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც საბჭო კისრულობს ვალდებულებას ზუსტად დაიცვას ბაქტერიოლოგიური იარაღისა და ტოქსინების აკრძალვის კონვენციის დებულებანი.

ვაშინგტონი

მთავრობის ლოცვა-კურთხევით

11 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ხელი მოაწერა კონგრესის მიერ ადრე მიღებულ კანონპროექტს იმის შესახებ, რომ „ლოკჰიდ ეირკრაფტის" სამხედრო-სამრეწველო კორპორაციას მთავრობის გარანტიით სესხად მიეცეს 250 მილიონი დოლარი.

ამრიგად, გაკოტრების ზღვარზე მისული მონოპოლია მთავრობის ლოცვა-კურთხევით იღებს უპრეცედენტო შესაძლებლობას განიმტკიცოს შერყეული პოზიციები სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მილიონობით გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ფულით.

როგორც „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, მთავრობის გარანტია ნიშნავს მხარდაჭერას არა მარტო „ლოკჰიდის" კორპორაციისათვის, რომელიც მარცხს განიცდის, არამედ, აგრეთვე მხარდაჭერას 24 უდიდესის ბანკისათვის, რომლებმაც საავიაციო კონცერნის დასახმარებლად უკვე შეიტანეს 400 მილიონზე მეტი დოლარი.

მთავრობის გადაწყვეტილება აგრეთვე უშუალოდ შეესაბამება სამი ავიასატრანსპორტო კომპანიის — „დელტის", „ტრანსუორლდისა" და „ისტერნის" კომპანიების ინტერესებს, რომლებმაც დააბანდეს 200 მილიონზე მეტი დოლარი „ლოკჰიდის" კომპანიაში.

მთავარი როლი კი, მიმომხილველთა აზრით, საბოლოო ანგარიშით შეასრულა იმ გარემოებამ, რომ „ლოკჰიდ ეირკრაფტი" პენტაგონის უდიდესი მიმწოდებელია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ კომპანიას მხარი დაუჭირეს მთავრობამ და მძლავრმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა.

წვრთნიან პოლიციელებს

ნიუ-იორკი. 11 აგვისტო. (საკდესი). შეერთებული შტატები ყველაზე აქტიურად მონაწილეობს ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის პოლიციური აპარატის მომზადებასა და გაწვრთნაში. როგორც გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" წერს, ამჟამად ამერიკა პოლიციელთა მომზადებაში „ეხმარება" ლათინური ამერიკის 15 ქვეყანას. ზოგიერთ მათგანს ასწავლიან ვაშინგტონის პოლიციის აკადემიაში, მაგრამ ძირითად ნაწილს ადგილობრივ ამზადებენ ამერიკის საელჩოთა სამხედრო მრჩევლების ხელმძღვანელობით.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები უკვე 12 წელია აქტიურად მონაწილეობს ბრაზილიის პოლიციის წვრთნაში. ამ ხნის მანძილზე პოლიციის 600 ბრაზილიელმა ოფიცერმა გაიარა მომზადება ვაშინგტონში, ხოლო 100 ათასამდე პოლიციელი გაწვრთნეს ადგილობრივ.

გაზეთი წერს, რომ ოფიციალური ვაშინგტონი არ იშურებს ფულს ლათინური ამერიკის ქვეყნებში რეპრესიული აპარატის მომზადებისათვის, რომელმაც უნდა დაიცვას ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მდგომი ავტორიტარული მთავრობები და ჩაახშოს დემოკრატიული ოპოზიცია.

1972 საფინანსო წელს, აღნიშნავს გაზეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნებში რეპრესიული კორპუსის მომზადების პროგრამისათვის ასიგნებულია 285 მილიონი.

ნიუ-იორკი

აპელაცია უარყვეს

11 აგვისტო. (საკდესი). მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის საapelაციო სასამართლოს მოსამართლემ ფ. კოფინმა უარყო დოქტორ დ. ელსბერგის აპელაცია და გამოიტანა გადაწყვეტილება მისი „საქმე" განსახილველად გადაეცეს კალიფორნიის შტატის ხელისუფლებს.

დ. ელსბერგს, რომელმაც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს" გადასცა ვიეტნამში ამერიკის აგრესიის გაჩაღების შესახებ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, ბრალად ედება, რომ „უკანონოდ ჩაიგდო ხელში მთავრობის საიდუმლო დოკუმენტები".

„ნიუ-იორკ ტაიმსსა" და ამერიკის სხვა გაზეთებში პენტაგონის დოკუმენტების ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ ელსბერგი ნებაყოფლობით წარსდგა ბოსტონის ხელისუფალთა წინაშე. მან აღიარა, რომ პრესას გადასცა იმ საიდუმლო კვლევის დოკუმენტების პირები, რომლის შედგენაშიც მონაწილეობდა.

დარბაზობა ინდოეთის პრეზიდენტთან

დელი. 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. გირიმ მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება აქ, და ესაუბრა მას.

საუბრის დროს ინდოეთის პრეზიდენტმა გამოთქვა კმაყოფილება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო და დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება.

მოლაპარაკება გრძელდება

ჰელსინკი. 11 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა საელჩოში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მორიგი შეხვედრა, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

„ოკუპანტები ერთობიან"

ამერიკელი ჯარისკაცის სახე

ვაშინგტონი. 11 აგვისტო. (საკდესი). 1970-1971 საფინანსო წლის მარტო ათ თვეში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებიდან გაიქცა 68.449 კაცი, რაც უდრის 4,5 საბრძოლო დივიზიის პირად შემადგენლობას.

პენტაგონის მონაცემებით, ამერიკის არმიიდან დეზერტირობის დონე იზრდება 1965 წლიდან, როცა დაიწყო საომარი მოქმედების ესკალაცია ვიეტნამში. ჩვეულებრივ, აღნიშნავს მიმომხილველი, ჯარისკაცები მაშინვე გარბიან არმიიდან, როგორც კი მიიღებენ ვიეტნამში გაგზავნის ბრძანებას.

ბონი. 11 აგვისტო. (საკდესი). არ წყდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბინავებული ამერიკელი ჯარისკაცების ხულიგნური გამოხდომები. პრესის ცნობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების სამმა სამხედრო მოსამსახურემ იქურდა ბამბერგის ერთ-ერთ რესტორანში.

სხვა სამმა ჯარისკაცმა ჩხუბი ატეხა ამ ქალაქის ვაგზალში და ჩაამსხვრია რამდენიმე ვიტრინა.

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" იუწყება, კანაუში 80-მდე მთვრალი ამერიკელი ჯარისკაცი შეურაცხყოფას აყენებდა გამვლელებს, ბოთლებს უშენდა ავტომანქანებს. ერთი ქალი დაშავდა და საავადმყოფოში გაგზავნეს.

ტოკიო. 11 აგვისტო. (საკდესი). წუხელ ოკინავაზე ერთმანეთს შეეტაკნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი.

შეტაკება მოხდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცმა სცემა ოკინაველ ტაქსის მძღოლს.

ამერიკელი ჯარისკაცის ხულიგნური საქციელით აღშფოთებული ასობით ადამიანი გამოვიდა ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრის — ნახის ქუჩებში და მოითხოვა, რომ დამნაშავე იაპონიის სამართალს გადასცენ. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაშავდა.

ფაქტები

11 აგვისტო

● **მიმდინარე წელს** „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებაში კიდევ 7 ათასი მოქალაქე შევიდა. ამჟამად, წერს გაზეთი „კანსან უუტისეტ", საზოგადოების შემადგენლობაშია 200 ათასზე მეტი კაცი, აგრეთვე ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია.

● **სახსრების** შეგროვების კამპანიის შედეგად არგენტინის კომპარტიის ფონდში შეტანილია 232 მილიონი პესო. კამპანიის დროს პარტიაში შევიდა 2.500 კაცი.

● **სამხრეთ ვიეტნამის** რესპუბლიკის კუანგდის პროვინციაში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო-შეიარაღებულმა ძალებმა, ივლისის ბრძოლების შედეგებით, მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 1.380 ჯარისკაცი, მათ შორის დაახლოებით 250 ამერიკელი, ჩამოაგდეს 8 თვითმფრინავი, მოსპეს 79 სამხედრო მანქანა, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

● **ისრაელის** ხელისუფლებმა ღაზის ოკუპირებული სექტორის საზღვრის გასწვრივ დაიწყეს ეგრეთ წოდებული „ლობის" გაყვანა „უშიშროების უზრუნველყოფისათვის". ეს „ლობე" სამმეტრიანი კედელი, რომელიც ლითონის ბოძებისა და გისოსებისაგან შედგება. ეს ღონისძიება ხორციელდება, იმასთან დაკავშირებით, რომ პალესტინელმა პარტიზანებმა გააძლიერეს ოპერაციები ოკუპანტთა წინააღმდეგ.

● **„ბრიტანეთის** ინტერვენციის შედეგად ჩრდილოეთ ირლანდია ცეცხლშია გახვეული და სისხლად იღვრება", — აღნიშნავს დღეს გაზეთ „ლუმანიტეში" მისი საგარეო-პოლიტიკური მიმომხილველი ივ მორო. იგი განმარტავს ამ დღეებში ჩრდილოეთ ირლანდიაში მომხდარ ამბებს და წერს, რომ ამ ქვეყნის მილიონნახევრიანი მოსახლეობიდან 600 ათასზე მეტი კაცი „კოლონიური ტიპის ექსპლოატაციისა და დისკრიმინაციის მსხვერპლია".

● **რასობრივი** მღელვარება დაიწყო ამერიკის ჩანუტის ავიაციო ბაზაში (ილინოისის შტატი). მღელვარების მიზეზია რასისტული წესები ბაზაში. ზანგი ჯარისკაცებისა და თეთრკანიანების შეტაკების შედეგად დაჭრილია 10 კაცი. ბაზაში უკვე მეორე დღეა მოქმედებს კომენდანტის საათი.

● **სასწავლო ფრენა** განაახლეს იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა. ფრენა ორი კვირით შეაჩერეს მას შემდეგ, რაც ჰაერში რეაქტიული ავიაგამანადგურებელი დაეჯახა ადგილობრივი ავიახაზების თვითმფრინავს, რის შედეგადაც მოხდა მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში ყველაზე დიდი კატასტროფა — დაიღუპა სამოქალაქო თვითმფრინავის 162 მგზავრი და ეკიპაჟის წევრი.

საკდესი-რეიტერი.

ლონდონი

დაპატიმრებანი გრძელდება

11 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა რ. მოდლინგმა უგულებელყო მრავალი მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ საზაფხულო არდადეგებისათვის დათხოვნილი პარლამენტი ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის განსახილველად.

ამასობაში გუშინ ფაქტიურად შემოღებული საალყო წესების შემდეგ ოლსტერში გრძელდება დაპატიმრებანი. მოსახლეობისა და ინგლისის არმიის ჯარისკაცების, ბრძოლების რაიონებში ქუჩები ალყაში ჰყავთ მომწყვდეული ჯავშნიან მანქანებს, ავტომატური შაშხანებით მიაბიჯებენ ჯარისკაცთა პატრულები, გამაგრებული ბუნკერებიდან მოჩანს ტყვიამფრქვევების ლულები.

დღეს ბელფასტსა და ლონდონდერში ასაფლავებენ ამ ქალაქების მცხოვრებლებს, რომლებიც დაიღუპნენ ჯარისკაცებთან შეტაკების დროს.

ბონი

ვ. ბრანდტის ინტერვიუ

11 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა დპას სააგენტოს კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებას ორი ქვეყნის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

ხელშეკრულების ხელმოწერის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილ ინტერვიუში ბრანდტმა აღნიშნა, რომ მან „ნაყოფიერი გავლენა" მოახდინა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე.

„მნიშვნელოვნად უფრო მჭიდრო გახდა, — თქვა მან, — დიპლომატიური კონტაქტი ორ მთავრობას შორის. გაიზარდა ორი ქვეყნის დაინტერესება თანამშრომლობით ეკონომიურ და მეცნიერულ დარგებში".

უპასუხა რა კითხვაზე, რომელ დარგებში შეიძლებოდა მეტის მიღწევა ორ ქვეყანას შორის, რათა შესრულდეს ხელშეკრულების მიერ დასახული მიზნები, ვ. ბრანდტმა თქვა: „უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის დარგში, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში".

შეეხო რა მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის მოწინააღმდეგეთა პოზიციებს, კანცლერმა განაცხადა: „უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ხელშეკრულება, თუმცა ხელმოწერილია, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში.

ზოგი ვინმე, კერძოდ, ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის კრიტიკოსები, ვერ ხედავს ამ განსხვავებას. მათ სურთ წინააღუდგნენ ხელშეკრულების რატიფიკაციას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ხელშეკრულებისაგან მოითხოვენ ნაყოფიერ შედეგებს, რომელსაც უნდა მოველოდეთ მხოლოდ რატიფიკაციის შემდეგ".

რომი

ეძებენ დოკუმენტებს

11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კარაბინერ-მყვინთავთა ქვედანაყოფმა დაიწყო ნეროს მთის ტბის შემოწმება ალპებში ტურინის მახლობლად.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, აქ 1945 წელს ჰიტლერელებმა ტბის წყლებში ჩაძირეს ტანკი, რომელშიც იყო საიდუმლო დოკუმენტებით სავსე ყუთები. ეს დოკუმენტები ეხება გერმანელების მიერ იტალიის ოკუპაციის პერიოდს.

გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ომის ბოლო თვეებში ოკუპანტებმა ფსკერზე ჩაუშვეს დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი, რათა ისინი ხელთ არ ეგდოთ პარტიზანებს.

მყვინთავებს მოელით მძიმე სამუშაო შლამის გამო, რომელიც სქელ ფენად დაედო ფსკერს ამ 25 წლის მანძილზე, აგრეთვე წყლის მეტად დაბალი ტემპერატურის გამო, რომელიც ყინულივით ცივაა ცხელ ზაფხულშიც.

ჩეხოსლოვაკიაში



საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი ოცკილომეტრიანი მონაკვეთი ავტოსტრადისა, რომელიც მთელ ჩეხოსლოვაკიას გადაკვეთს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ახალი მაგისტრალი გაივლის ქვეყნის ისეთ ეკონომიურ ცენტრებს, როგორიც პრაღა, იიგლავა, ბრნო და ბრატისლავაა... გზის მშენებლობა მიმდინარეობს თანამედროვე ტრანსპორტის სიჩქარეებისა და ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით.

სურათზე: ახალი მაგისტრალის მონაკვეთი პრაღასთან.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

ათასნაირი ამბები

◆

გამოფენაც [illegible]

საინტერესო გამოფენა გაიხსნა ამას წინათ ნიუ-იორკის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში. ექსპოზიციათა ზერელე დათვალიერებისას ადამიანს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი ხედავს პიკასოს, შაგალის, მიროს, მატისისა და სხვა თანამედროვე მხატვართა ნაწარმოებებს. მაგრამ უფრო მეტი დაკვირვების (ამის შესახებ კატალოგიც ამბობს) შედეგად ნათელი ხდება, რომ თქვენს წინაშეა XX საუკუნის საფრანგეთის მხატვართა სტილით შესანიშნავად შესრულებული ასლები.

ამ „ნაწარმოებთა" ავტორი დევიდ სტეინი ვერ დაესწრო გამოფენის გახსნას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. იგი ახლა იმყოფება საფრანგეთის ქალაქ ტულუზის ციხეში.

სტეინმა თავის დროზე „სახელი გაითქვა" იმით, რომ ოსტატურად ბაძავდა და მაღალ ფასებში ჰყიდდა ცნობილ თანამედროვე მხატვართა ტილოებს. ამისათვის 1969 წელს იგი ამერიკის შეერთებული შტატების ციხეში მოხვდა და სასჯელის მოხდის შემდეგ საფრანგეთში იქნა გასახლებული. იქ კვლავ მოჰკიდა ხელი ძველ ხელობას და ისევ ციხეში აღმოჩნდა, ამჯერად სამი წლით. სტეინმა აღიარა, რომ მან გაჰყიდა 200 ცალი სურათი, ზოგიერთ სურათში აიღო 30 ათასი დოლარი.

სურათები, რომლებიც ახლა ნიუ-იორკშია გამოფენილი, იურიდიულად არ ითვლება ნაყალბევად, რადგან მათზე სტეინის ხელმოწერაა. ამერიკის ხელისუფალნი ცდილობდნენ აეკრძალათ გამოფენა. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ გამოფენიდან გაყიდული სურათები მცირეოდენი კოსმეტიკის შემდეგ კვლავ აღმოჩნდებიან ბაზარზე, მაგრამ უკვე ნაყალბევის... სახით.

ავტომობილი პრეზიდენტისათვის

ამერიკული საავტომობილო კომპანია „ფორდი" ქალაქ დირბორნის (მიჩიგანის შტატი) ქარხანაში პრეზიდენტ ნიქსონისათვის ამზადებს ახალ ტყვიაგაუმტარ ავტომობილს. ავტომობილის ღირებულება 200 ათასი დოლარია.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეს ლიმუზინი შეცვლის სავალალოდ ცნობილ შავ „ლინკოლნს", რომელშიც 1963 წელს მოკლეს პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი.

ძვირფასი ნაპოვნი

იტალიის ქალაქ მელფის მახლობლად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბერძნული ნეკროპოლი — უძველესი სამარხები.

საფლავებში აღმოჩნდა მრავალი საიუველირო ნაკეთობა — ოქროს, ვერცხლის, ქარვის სამკაულები. ქარვის ნაკეთობანი შესრულებულია აღმოსავლური სტილით. გარდა ამისა, ნახეს ბარელიეფები ბერძენი მეომრებისა და ქალის ფიგურების გამოსახულებით. არქეოლოგთა აზრით ეს ნაპოვნი მეტად საინტერესო და ძვირფასი შენაძენია.

ქალაქი მელფი იტალიის სამხრეთ ნაწილშია, ადრიატიკის ზღვიდან დაახლოებით 30 კილომეტრზე. იგი დააარსეს ბერძენმა კოლონისტებმა ჯერ კიდევ რომის იმპერიის შექმნამდე. მოქალაქეები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ საბერძნეთთან და მცირე აზიის ქვეყნებთან.

ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეროვნული საკითხის ერთადერთი, ნამდვილი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შედეგად და სოციალიზმის ბაზაზე, მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლების პირობებში. ყოველივე ეს პრაქტიკულად დაადასტურა ჩვენი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის ისტორიულმა გამოცდილებამ.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პერიოდში, როცა მიმდინარეობს სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა, უაღრესად აქტუალური გახდა ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილების მეცნიერული შესწავლა და გაშუქება.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო გ. ბრეგაძის ნაშრომი „საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება", რომელიც გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

მართალია, საქართველოში ეროვნული საკითხის ისტორიის ცალკეულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე გამოცემულია ლიტერატურა, მაგრამ აქამდე მაინც არ გვქონია სპეციალური ნაშრომი, რომელიც მთლიანობაში განიხილავდა და განაზოგადებდა საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიულ გამოცდილებას. სარეცენზიო წიგნის ავტორს მიზნად დაუსახავს ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი.

ავტორმა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, დიდძალი და მრავალმხრივი პარტიული დოკუმენტების, ახალი საარქივო მასალების გამოყენებით და მათი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოგვცა მეტად საინტერესო და სასარგებლო მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით გაშუქებულია ისეთი რთული და მრავალმხრივი პრობლემა, როგორიც არის საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება. წიგნში ძირითადი საკითხები განხილულია ისტორიულ-თეორიულ ასპექტში და დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო ამოცანებთან. ქართველი ერის სოციალისტურ ერად გარდაქმნისა და განვითარების მაგალითზე ნაჩვენებია ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადე, მისი გამარჯვება. ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ჩვენება.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, ხუთ თავსა და დასკვნას.

შესავალი ცხადყოფს თემის აქტუალობას და მიზანდასახულობას; ნათლად არის წარმოდგენილი საკვლევი თემის შესწავლის დონე და ნაშრომის მთავარი მიზანი.

წიგნის პირველ თავში ავტორი განიხილავს ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიულ წანამძღვრებს საქართველოში, უჩვენებს ლენინური ეროვნული პროგრამის თეორიულ საფუძვლებსა და საქართველოს მარქსისტების ბრძოლას მისი დაცვისათვის.

ცნობილია, რომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, წამოაყენეს და თეორიულად დაასაბუთეს ეროვნული საკითხის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები; ლენინმა და მისმა მოწაფეებმა შემდგომ განავითარეს, ახალი დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრეს მარქსიზმის მოძღვრება ეროვნულ საკითხზე. გ. ბრეგაძე დამაჯერებლად და უაღრესად მკაფიოდ მიუთითებს იმ მაგისტრალურ ხაზზე, რომლითაც მიიმართებოდა ვ. ი. ლენინის მიერ ეროვნული საკითხის მარქსისტული თეორიის განვითარება და ბოლშევიზმის ეროვნული პროგრამის შემუშავება.

ავტორი, აშუქებს რა ლენინური ეროვნული პროგრამის ძირითად იდეებს, ეროვნული საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს, მდიდარი კონკრეტული მასალის საფუძველზე უჩვენებს საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შეუპოვარ ბრძოლას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობას ეროვნული პროლეტარული პროგრამის დაცვისა და სწორად გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი.

სარეცენზიო წიგნში სრულყოფილად არის გაშუქებული საქართველოში ეროვნული საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა (თავი მეორე). აქ მკითხველი გაეცნობა, თუ რა დიდი სიძნელეები ახლდა ეროვნული საკითხის ლენინურ განხორციელებას საქართველოში, სადაც ათეული წლების მანძილზე კოლონიურ ჩაგვრას ეწეოდნენ მეფის რუსეთის შემამულეები და კაპიტალისტები, ხოლო გარკვეული წლების განმავლობაში შოვინიზმს აღვივებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. კარგად არის ნაჩვენები, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — ეროვნული საკითხის ნამდვილი სწორი გადაწყვეტისათვის, საბჭოთა ერების ყოველმხრივი აყვავებისათვის აუცილებელი პირობაა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება; გარკვეულია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის როლი ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. მოკლედ, მაგრამ ძირითად ხაზებში დასაბუთებულია საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თავისებურებები თავისი ეტაპების მიხედვით; ნაჩვენებია ვ. ი. ლენინისა და პარტიის ბრძოლა ფაქტიური ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, ჩამორჩენილი ეროვნული მხარეების წინსწრევის კონკრეტული გზები და საშუალებები. ამ ფონზე ნათლად არის მოცემული, რომ საქართველომ მოკლე დროში შეძლო ლიკვიდაცია ფაქტიური ეროვნული უთანასწორობისა საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით.

აღნიშვნის ღირსია ის, რომ საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობის განხილვისას (გვ. 105-128) ნაშრომში მოცემულია სამართლიანი კრიტიკა ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულებებისა იმის შესახებ, რომ რევკომები საქართველოში თითქოს წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ახალ, გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას. ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს იმას, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ძალაუფლება აიღო რევოლუციის გასამარჯვებლად, საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ფორმით პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ნაშრომში განხილულია ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა და განვითარება, როგორც საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის მთავარი შედეგი. 1921-1925 წლებში, მიუთითებს ავტორი, მიმდინარეობდა ქართველი ერისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული ჯგუფის სოციალისტური გარდაქმნის პირველდაწყებითი პროცესი, ხოლო 1926-1937 წლებში ხდებოდა ქართველი სოციალისტური ერის ნიშანდობლივი თვისებების შემდგომი განვითარება, სრულყოფა და ახალ თვისებრიობაში გადასვლა. სოციალიზმის გამარჯვებამ განაპირობა საზოგადოების სრულიად ახალი სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა და თვისებრივად ახალი ტიპის ერის — ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება.

სოციალიზმის აშენების შემდეგ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი შევიდა კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, მძლავრი განვითარებისა და აყვავების პერიოდში, რის შედეგადაც ქართველი სოციალისტური ერის ნიშნები უფრო სრულქმნილი გახდა მათს შინაარსში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებებისა და განვითარების შედეგად. ყველა ეს საკითხი მდიდარი ისტორიული და ახალი მასალების საფუძველზე ცხადად არის ნაჩვენები სარეცენზიო წიგნის მესამე თავში.

ჩვენი აზრით, ავტორი სწორად იქცევა, ცალკე რომ განიხილავს (მეოთხე თავი) ერის ცნების საკითხს; ქართველი და ყოველი სოციალისტური ერის განვითარების ისტორიული გამოცდილება, მათი ყოველმხრივი განვითარების მაგალითი და შემდგომი აყვავების პერსპექტივა ნათლად ადასტურებს ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის სისწორეს. ამავე დროს ააშკარავებს ე. წ. „საბჭოთა კოლონიალიზმზე" საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების ცილისმწამებლურ გამოხდომათა სიყალბეს, ამხილებს ბურჟუაზიული მეცნიერების შეხედულებას, რომელსაც დღემდე ვერ გაურკვევია ერის ადგილი საზოგადოების ისტორიულ-ეთნიკურ განვითარებაში, ვერ გამოუყვია ერის ცნება ისეთი ცნებებისაგან, როგორიც არის რასა, ხალხი, სახელმწიფო და ეროვნება.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში თავი წამოჰყო მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელმაც დაიწყო იმის მეცნიერულად „დასაბუთება", რომ ჩვენს ქვეყანაში თითქოს უკვე მიმდინარეობს ერების არა მარტო დაახლოება, არამედ მათი შერწყმაც; ამავე დროს ზოგიერთმა მეცნიერმა წამოაყენა „სოციალისტური ერების სამი ნიშნის გაქრობის" მცდარი შეხედულებები. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია ჩვენთვის. ამიტომ უსათუოდ მოსაწონია ის, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორი მკაცრად და სამართლიანად აკრიტიკებს ყველა ასეთ არასწორ შეხედულებას, ყველა იმათ, ვინც ეწევა ერის ცნების ცნობილი მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრის კრიტიკას; იგი უნარიანად ასაბუთებს, რომ ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებულ ერის ცნების სტალინისეულ განსაზღვრას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მეცნიერული სიზუსტე და ცხოველმყოფელობა, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ერების არა შერწყმა, არამედ ერების მხოლოდ დაახლოება და ურთიერთგამდიდრება, მათი შემდგომი აყვავება და სრული გაფურჩქვნა.

წიგნის უკანასკნელ, მეხუთე თავში მკითხველი გაეცნობა მეტად საინტერესო მასალას, რომელიც დაკავშირებულია საერთოსახალხო ენის საკითხთან, რაც ერის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ნაშრომის დასკვნაში მოკლედ, გასაგებად არის ლაპარაკი იმაზე, თუ როგორია საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის მთავარი შედეგები, რა დასკვნებამდე მივყავართ ამ გადაწყვეტის ისტორიულ გამოცდილებას. მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მდიდარი სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართველი ერის, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ერების სოციალისტური გარდაქმნა და შემდგომი განვითარება მისაბაძი ნიმუშია ყველა ჩაგრული ხალხისათვის, რომლებიც მიისწრაფვიან ახალი ცხოვრებისაკენ — სოციალიზმისაკენ.

მიუხედავად ნაშრომის დიდი ღირსებისა, მას ნაკლიც აქვს. ადგილი აქვს გამეორებებს. მაგალითად, ერის ცნების განსაზღვრა, მის ირგვლივ მსჯელობა, კამათი გვხვდება წიგნის თითქმის ყველა თავში; უმჯობესი იყო ყოველივე ეს ერთ თავში ყოფილიყო მოცემული; შეიმჩნევა გაუმართავი, დიდი წინადადებები.

გ. ბრეგაძის წიგნი „საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება" საყურადღებო ნაშრომია. იგი ისტორიულ-პარტიული ლიტერატურის კარგი შენაძენია.

მ. ჯინჯველაშვილი.

გ. ბრეგაძე. „საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება". გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". 1970 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ რწმუნებათა ვადა გაუდით დარგობრივი პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ, რაიონულ, საქალაქო, საოლქო რესპუბლიკურ კომიტეტებს, საოლქო საბჭოებსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მოეწყობა პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. საწარმო-დაწესებულებათა პროფკავშირების წევრთა საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები მოეწყობა 1971 წლის სექტემბერ-ოქტომბერში; დარგობრივი პროფკავშირების რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები — 1971 წლის ნოემბერში; ქალაქ ქუთაისის, თელავისა და მახარაძის რაიონების კავშირთაშორისი კონფერენციები — 1971 წლის ნოემბერში; დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კონფერენციები — 1971 წლის დეკემბერში; საოლქო კავშირთაშორისი კონფერენციები — 1971 წლის დეკემბრის მეორე ნახევარსა და 1972 წლის იანვრის პირველ ნახევარში; საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობა — 1972 წლის 28-29 იანვარს.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საოლქო საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს პროფსაბჭოს ექვემდებარებიან, ანგარიშგება-არჩევნები მოაწყონ „პროფკავშირული ორგანოების არჩევნების მოწყობის შესახებ" საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქციის მკაცრი დაცვით. მათ წინადადება მიეცათ შეადგინონ და დაამტკიცონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მოწყობის კალენდარული გეგმები, უზრუნველყონ ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისა და მოწყობის ყოველდღიური ხელმძღვანელობა, როგორც უმნიშვნელოვანესი მასობრივ-პოლიტიკური კამპანიისა. რომლის მიზანია გააუმჯობესოს პროფკავშირული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე უნდა გაანალიზდეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის, სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობისა და საკავშირო პროფსაბჭოს XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა მასების დარაზმვისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა დაისახოს კონკრეტული ამოცანები მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებათა მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის პროფკავშირულ ორგანიზაციათა გავლენის გასაძლიერებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მოწყობისას მკაცრად უნდა დავიცვათ პროფკავშირული დემოკრატია. კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, მათი საქმიანობის გაუმჯობესება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. ზრუნვის გაძლიერება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, პროფკავშირთა როლის ყოველნაირად ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

პროფკავშირული კომიტეტების შემადგენლობაში უნდა დავასახელოთ მოწინავე მუშები და მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, ქალები და ახალგაზრდობა, რომლებმაც დაიმსახურეს მასების ნდობა და აკმაყოფილებენ პროფკავშირული ხელმძღვანელებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

დარგობრივი პროფკავშირების ახალმა კომიტეტებმა დროულად უნდა გადახედონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე პროფკავშირთა წევრების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წამოყენებულ წინადადებებს, დასახონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი და განახორციელონ კონტროლი შესრულებისადმი. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ 850 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ

850 წელი გვაშორებს იმ დღის, რაც თბილისის ახლოს, დიდგორის მიდამოებთან ქართველებმა მოსალოდნელი კატასტროფისაგან იხსნეს თავიანთი სამშობლო.

ისტორია ახლაც დიდი სიამაყით გვახსენებს ამ გმირულ ეპოპეას და ფიქრსაც გადავყავართ იმ შორეულ ხანაში.

მე-12 საუკუნე ფეხს იდგამდა. სახელოვანი დავით აღმაშენებლის (1089-1125) მეთაურობით ქართველი ხალხი წარმატებით ამთავრებდა ჩვენი ქვეყნიდან თურქსელჯუკების განდევნას.

ყველაფერი ქვეყნის თავისუფლების, აღორძინებისა და წინსვლისათვის — ასეთი იყო დავით აღმაშენებლისა და მასთან ერთად დარაზმული ქართველი პატრიოტების დევიზი. იგი მაშინდელი პირობების შესაბამისად, მაქსიმალური წარმატებით ხორციელდებოდა და რასაც, ჩვენი ქვეყნის მესვეურთა აზრით, ქართველებისათვის უნდა მოეტანა არა მარტო უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლება, არამედ ეკონომიური და კულტურული აღმავლობაც.

რას არ აკეთებენ დავითი და მისიანები ქვეყნის ერთიანობისათვის.

ენერგიულად იბრძვიან პარტიკულარისტებს, აუქმებენ მათს პრივილეგიებს და ფიზიკურადაც სპობენ, თუ ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს. დაჟინებული თანმიმდევრობით ავითარებენ მმართველობის ცენტრალისტურ აპარატს და შესაფერისადაც სრულყოფენ მას.

განსაკუთრებით აძლიერებენ სამხედრო პოტენციალს და მთელ საქართველოსაც ერთიან ანტითურქულ ბანაკად აქცევენ.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, უწინარეს ყოვლისა გვახსენდება დავითის „მონათა" 5000-იანი კორპუსის, სამეფო ლეიბ-გვარდიის ფორმირება, რომლის კონტინგენტიც სელჯუკთა სულტნების ღოლამთა (მონა) ანალოგიით იყო ორგანიზებული და ისე, როგორც სელჯუკებთან, აქაც უცხოური წარმოშობის, ჩვენს სინამდვილეში არაქრისტიანული მოდგმის წარმომადგენელთაგან იყო დაკომპლექტებული. ისინიც მეფისადმი ფანატიკური ერთგულებით გამოირჩეოდნენ, რის გამო მეფეებიც თავის მხრივ განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ მათ.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა საქართველოში აგრეთვე საქვეყნო ლაშქრის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სადაც საპატრონყმო პრინციპის ნაცვლად თანდათანობით დაინერგა საკარგავზე დაფუძნებული სამხედრო აპარატი, რომელიც, სელჯუკთა სახელმწიფოს იქტადარობისა არ იყოს, ჩვენშიც მტკიცე გარანტიას ქმნიდა მაღალდისციპლინირებული საქვეყნო არმიის მუდმივი ბირთვის შექმნისათვის.

და ბოლოს თვით ამ ლაშქრის მეთაურის ახალი სახელი ამირსპასალარი (ისე როგორც სხვა სამხედრო ტერმინებიც: ამილახორი, ზარადხანა...), რომელიც დიდ სელჯუკთა სამყაროდან არის აღებული და რაც ჩვენში სწორედ დავითის დროიდან შემოვიდა, იმისი მოწმობა უნდა იყოს, რომ დავითი, თურქების ეს დაუძინებელი მოწინააღმდეგე, დიდად აფასებდა კიდევაც თავისი მტრის — სელჯუკთა სამხედრო ორგანიზაციის მისაბაძ მხარეებს, რომლის წყალობითაც თავის დროს თურქებმა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო არმიის შექმნაც კი მოახერხეს.

აღარაფერს ვიტყვით მსტოვართა ინსტიტუტსა და ყივჩაღთა ჩამოსახლების ფაქტზეც, რაც ჩვენს ლიტერატურაში სათანადოდ არის შეფასებული.

ამასთან ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის ეპოქაში შექმნილი ხელსაყრელი საგარეო ფაქტორების მეოხებით საქართველომ ენერგიულად დაიწყო დიდი შეტევა თურქობაზე, რაც, თავის მხრივ, იყო არა უბრალო შერკინება პოლიტიკური პირველობისათვის, არამედ ბრძოლა იმ ცივილიზებული საზოგადოებრივი და კულტურულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების შენარჩუნებისათვის, რომელსაც გარკვეული დროიდან მთელ ახლო აღმოსავლეთში და კერძოდ კავკასიასა თუ საქართველოშიც სრული მოსპობით ემუქრებოდა თურქულ-მეჯოგური ტრადიციების ერთობლიობა. ამდენად ყოველივე ეს იმასაც ნიშნავდა, რომ საქართველოს ბრძოლა თურქების წინააღმდეგ წარმოადგენდა არა ლოკალური მასშტაბის აქციას, არამედ ბრძოლას ისტორიულად პროგრესული გზისათვის, მჭიდროდ გადაჯაჭვულს მეზობელი ხალხების ასეთსავე მოძრაობასთან მთელ კავკასიასა თუ ახლო აღმოსავლეთში.

მე-12 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს თურქები არსებითად განდევნილი იყვნენ საქართველოდან. ახლა მას მარტოოდენ თბილისისა და მისი სანახების შემოერთება აკლდა. მაგრამ დღეს თუ ხვალ ეს საქმეც უნდა მოგვარებულიყო.

ქართველების ეს წარმატებები საოცრად აფორიაქებდა სელჯუკებს, რომლებიც ამ ხანებში ენერგიულად იწყებდნენ ძალების მოკრებას და ანტიჯვაროსნული რევანშისათვის მზადებას.

ასეთ დროს კი თბილისის შემოერთება, რომელიც სხვა პირობებში შეიძლება ლოკალური მასშტაბის ოპერაცია ყოფილიყო, ახლა საერთაშორისო კონფლიქტის იერს იძენდა.

საქმე ის არის, რომ დავითი იმთავითვე ენერგიულად იბრძოდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ქალაქების ხელში აღებისათვის, რაც მისი სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი იყო. მაგრამ ვინაიდან ყოველივე ამით დამფრთხალი ეს ქალაქები და მათ შორის თბილისიც უცხო ძალას, კერძოდ კი სელჯუკებს უკავშირდებოდნენ და დავითისაგან დაცვასაც მათგან ეძიებდნენ, ქართველთა ბრძოლა ქალაქებისათვის უკვე ფართო მასშტაბს იღებდა და ერთი შეხედვით მთლიანად ანტითურქული მოძრაობის იერს იძენდა.

ასე მოხდა ახლაც, 1121 წლისათვის, როცა თბილისის, განძის და დმანისის მოწვევით, ამასთანავე თვით სელჯუკების ინიციატივით, თურქებმა შეკრიბეს უზარმაზარი, გაზვიადებული ცნობების მიხედვით 600 ათასიანი არმია, სათავეში თავიანთი ყველაზე გამოცდილი და სახელოვანი მხედართმთავრები: ილღაზი, დუბეის სადაყას ძე, თოღრულ-ბეგი თუ სხვები ჩაუყენეს და ასეთი ერთიანი ძალებით ჩვენი ქვეყნისაკენ აიღეს გეზი.

მტრებს საქართველოს მოსპობა და ახლო აღმოსავლეთის თუ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე მისი წაშლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

თურქების უზარმაზარი ლაშქარი საქართველოში რამდენიმე ნაწილად მოემართებოდა.

ერთი მათგანი, რომელიც არზრუმკარის სანახებიდან საქართველოსაკენ თრიალეთის ცნობილი გამოსასვლელებით მოდიოდა, დღევანდელი წალკის, მანგლისისა და ზემო დიდგორის გადალახვით თბილისის დასავლეთ მიწებსა და შიდა ქართლში ფიქრობდა გაჭრას. ამ მარშრუტზე ძვირფას ცნობებს გვაწვდიან არაბი ავტორი ალ-ფარიკი და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ამბობს, რომ 1121 წლის აგვისტოს დამდეგისათვის მტრით აივსო თრიალეთი, ე. ი. წალკის მხარე, მანგლისი და დიდგორნი.

თურქთა ლაშქრის მეორე ნაწილი თუქან არსლანის მეთაურობით დვინიდან მოვიდა, თოღრულ-ბეგმა კი განძიდან მოაღწია და დიდგორის ჩრდილოეთ კალთებთან დიღმის ხეობაში დაიდო ბინა. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ იმ გეგმის პირობებში, რომელიც თურქებს საქართველოში შემოსვლისას გააჩნდათ (შიგა ქართლში შეჭრა, აქედან საქართველოს სხვა მხარეებში გასვლა და დავითის სამოქმედო არეალის ჩაკეტვა აღმოსავლეთის მხრიდან), მტრისათვის განძიდან მოსვლა ყველაზე უპრიანი მტკვრის ხეობიდან იყო. ამასვე ემოწმება დავითის ისტორიკოსის ცნობა, რომ მტერი იდგა დიდგორთა, დიდგორნი სახელი კი აღნიშნავს როგორც ზემო, ისე ქვემო დიდგორსაც, რომელიც დიღმის ხეობის სათავეში მდებარეობს, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დიღმის ხეობის თავში მდებარე ტოპონიმის „ჩახრგილას", „ჩახრგილ-ხევის" არსებობაც, რომელიც ერთგვარ ასოცირებასაც კი იწვევს დიდგორის ომის აღმწერლის, ანტიოქიის კანცლერის გოტიეს ცნობასთან, თითქოს თურქებთან შებრძოლების წინ ხეობაში მდგომმა დავით აღმაშენებელმა დიდი ხერგილებით გადაკეტა თავისი მხედრობის უკანა სივრცე, რათა გაჭირვების დროს საშუალება არ მიეცა თავისიანებისათვის უკან დაეხიათ.

ამრიგად, მტერი თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა.

ვინ იცის, ყველაფერი როგორ დამთავრდებოდა, ქვეყანა დავითისა და მისი მხედრობის წინდახედულობას და თავგანწირვას რომ არ ეხსნა.

დავითმა გადაწყვიტა თვითონვე დასწრო მტრისათვის, რისთვისაც დაახლოებით 56 ათასი მოლაშქრე გამზადა და ვიდრე მტერი თავის ჭარბი ძალით შიგა ქართლისაკენ გაიჭრებოდა, მთაგორიან ადგილებზე შებოჭილების წინააღმდეგ პირველმა მიიტანა იერიში.

ამ მიზნით დავითმა თავისი ლაშქარი ორ ნაწილად გაჰყო და, როგორც ალ-ფარიკი გადმოგვცემს, ერთს თვითონ ჩაუდგა სათავეში, მეორეს კი თავისი შვილი უფლისწული დემეტრე უწინამძღვრა.

მტრის მთავარი ძალები, კერძოდ კი მათი სამხედრო ბანაკი, ილ-ღაზი, დუბეისი და სხვანი, ზემო დიდგორთან იდგნენ, და დავითმაც სწორედ აქეთკენ დაიწყო იერიში.

12 აგვისტოს ქართველები ფარულად განლაგდნენ ზემო დიდგორიდან შიგა ქართლისაკენ დასავლეთით გამავალ ხეობებში და მტერზე მოულოდნელი თავდასხმისათვის მოემზადნენ. დავითის მხედრობის ამ მარშრუტს კარგად მიგვანიშნებს ალ-ფარიკის ცნობა, რომ ბრძოლის ველისაკენ დავითი დასავლეთიდან მოემართებოდა.

ჯერ კიდევ სიწყნარე იყო, როცა თურქთა მთავარ ბანაკში მყოფებმა ქართველთა მხრიდან მომავალი ორასიოდე მხედარი შეამჩნიეს. ისინი ისე ცოტანი იყვნენ და თანაც მშვიდად მოდიოდნენ, რომ თურქებმა იფიქრეს, ეს უკანასკნელები უთუოდ დავითის ლაშქრიდან გამოქცეულები არიან და ალბათ, ჩვენთან შემოსაერთებლად მოდიანო. ამიტომ ისინი თავიანთ სამხედრო ბანაკთან დაუბრკოლებლად გამოატარეს და მიუშვეს...

ბანაკში მოსულებმა მოულოდნელად იარაღი იშიშვლეს და თავგანწირვით გაიწიეს თურქებისაკენ.

ყველაფერი ერთბაშად აირია და თურქებმა გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, როცა დაინახეს, რომ ხეობებიდან მათკენ ქართველთა მრავალრიცხოვანი მხედრობა მოემართებოდა დავითის მეთაურობით.

ასეთმა მოულოდნელობამ და შიშმა, ვაი თუ ქართველთა მიერ დაგებულ მახეში მოვექეცითო, თურქები შეაკრთო და ერთიანად ჩაუკლა ბრძოლის უნარი.

სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებული ქართველები კი მტრის ბანაკისაკენ მიიწევდნენ და ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად მიეტანათ იერიში თურქთა მხედართუფროსებზე.

პირველსავე ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. ილ-ღაზი მძიმედ დაიჭრა, დუბეის სადაყას ძეს კი ქართველები ისე ახლოს მიეჭრნენ, რომ კისრიდან ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკიც კი ჩამოჰგლიჯეს და შემდეგში დიდგორთან მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ხახულის ღვთისმშობლის ხატს (გელათში რომ ინახებოდა) შესწირეს.

მტერმა დაინახა, რომ მისი საქმე ცუდად იყო, რომ ვეღარ მოახერხებდა მთაგორიან ადგილებში გაშლას, თავის რიცხობრივ უპირატესობასაც ვეღარ გამოიყენებდა, ამიტომ გაქცევა არჩია.

გაქცეულ მტერს ქართველებმა დიდხანს სდიეს, ბოლომდე გაანადგურეს და ტყვედ იგდეს. გამარჯვებულებმა უდიდესი ნადავლი ჩაიგდეს ხელში.

ამრიგად, საქართველო გადარჩენილი იყო და ახლა ჯერი თბილისის შემოერთებაზეღა იდგა. აი ეს დღეც დადგა.

1122 წელს დავითი თბილისსაც მოადგა, სწრაფად აიღო, თავის პატრონებს დაუბრუნა და ერთიანი საქართველოს დედაქალაქად აქცია.

• • •

დიდგორთან გამარჯვებას ქართველი ხალხის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან უაღრესად კრიტიკულ მომენტში შეუნარჩუნა ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საშუალება მისცა უფრო წარმატებით თუ იმედიანად გაეგრძელებინა სამშობლოს თავისუფლების, ძლიერებისა და პროგრესული განვითარებისათვის ბრძოლა, ხოლო რადგანაც დავითის ეს ბრძოლა მთლიანად შეესაბამებოდა ანტითურქული პროგრესისათვის მებრძოლი სხვა ძალების ინტერესებსაც კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, დიდგორის გამარჯვებას ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ უკანასკნელებისა და განსაკუთრებით ჩვენი უახლოესი მეზობლების ბედისთვისაც, ვინაიდან ეს გამარჯვება ასევე იცავდა მათ თურქული ტალღებით წალეკვისაგან.

დიდგორის გამარჯვებას ის დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მან ქართველებს შეუნარჩუნა თავიანთი ინდივიდუალური სახე და ის პირობები, რომელთა წიაღშიაც შემდეგში თანდათან განვითარდა XII საუკუნის ის დიდი ქართული სახელმწიფოებრიობა და კულტურა, რომლის რაობა და ოდენობაც ახლა საყოველთაოდ არის ცნობილი.

ამიტომაც იყო, რომ უკვე თანამედროვენი დიდად ამაყობდნენ დიდგორის გამარჯვებით და ერთსულოვნად ქებას ასხამდნენ ამ ბრძოლაში ვალმოხდილ გმირებს, განსაკუთრებით კი მათ შორის პირველ გმირს მეფე დავითს, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სამართლიანად უწოდა ქართველთა სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღმდგენელი, ანუ აღმაშენებელი.

დოცენტი შ. ბადრიძე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲔᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲢᲧᲘᲡ მოვლა და გაშენება მთელი ერის საქმეაო, ამბობდა ილია ჭავჭავაძე. და არა მარტო ილია, არამედ ქართველი ხალხის სხვა საუკეთესო შვილებიც ტყის ერთგული დამცველები და მოჭირნახულენი იყვნენ.

„შენ გენაცვალე, ტყევ დაბურულო, ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო!" — ასე უმღერა ვაჟა-ფშაველამ აქჩრილ, აშრიალებულ ტყეებს. ჩვენს დროში ტყის მოვლა, გაშენება და პატრონობა სახალხო-სახელმწიფოებრივ საქმედ გადაიქცა. ზაფხულში ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ტყის დაცვა ხანძრებისაგან. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ზ. ბახტურიძე შეხვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. კუჭავას და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

ᲠᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲢᲧᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ?

— ჩვენი რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 37 პროცენტი ტყეებს უჭირავს, ე. ი. ტყის საერთო ფონდი შეადგენს 2966,9 ათას ჰექტარს, რომელთაგან 2389,5 ათასი ჰექტარი სახელმწიფო ტყის ფონდია. აგრეთვე გვაქვს ხელოვნურად გაშენებული ტყის კულტურები სულ 81350 ჰექტარზე. აქვე მინდა აღვნიშნო, თუ რაოდენ განუზომელი და მრავალფეროვანია ჩვენი ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ისინი აწესრიგებენ მდინარეების რეჟიმს. იცავენ ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, გვიცავენ თოვლის ზვავებისაგან, მეწყერებისა და ნიაღვრებისაგან, აზომიერებენ ქარების მოქმედებას. ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების საუკეთესო თვისებათა შექმნაში დიდ როლს ასრულებენ მათ გარშემო მდებარე ტყის მასივები.

ᲠᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲢᲧᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲐᲠᲒᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ?

— ტყეების მოვლა-დაცვისა და ახალ ნარგაობათა გასაშენებლად მთავრობა ყოველწლიურად დიდ თანხებს გამოყოფს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო ახალი ტყეების გაშენებას. მარტო თბილისის გარშემო უკანასკნელ წლებში 7 ათას ჰექტარამდე ტყე გაშენდა. ტყით დაიფარა წყნეთის, ვარკეთილის, ნადიკვარისა და ლელვთახევის ფერდობები. ამ საქმეში დიდია თბილისის მოსახლეობის მონაწილეობა, რომელიც ყოველწლიურად ორგანიზებულად გამოდის და მწვანე ნარგავების გაშენებაზე მუშაობს. რესპუბლიკის მეტყევეებმა წარმატებით შეასრულეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მიცემული სიტყვა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად დარგავდნენ 50 მილიონ ხეს. მაგრამ წლევანდელი ზაფხული უჩვეულოდ მშრალი და ცხელი გამოდგა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნორჩი ნარგავების გახარებაზე. ჩვენი მეტყევეების ვალია რეგულარულად რწყვა იქ, სადაც სარწყავი სისტემებია მოწყობილი, ხოლო სადაც სარწყავი სისტემები არ არის, ე. წ. მშრალი რწყვა — ნიადაგის გათოხნა-გაფხვიერება, რაც შეამცირებს ნიადაგიდან წყლის აორთქლებას.

ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

— ხანგრძლივმა გვალვებმა საქართველოში შექმნეს ტყის ხანძრების დიდი საშიშროება. ხანძარი უბოროტესი მტერია ჩვენი საუნჯისა. ერთი ხიდან შეიძლება დამზადდეს რამდენიმე ასეული ათასი ღერი ასანთი, ხოლო ერთადერთ ასანთს შეუძლია გადაწვას რამდენიმე ათასეული ჰექტარი ტყე. გაზაფხულის ხანგრძლივმა წვიმებმა გამოიწვიეს ბალახის ზრდა, ზაფხულის გვალვებმა კი მათი გახმობა-გამოშრობა. ხანძარი ტყეს უჩნდება თბილისის ირგვლივ და სადაც მოსახლეობა მიდის დასასვენებლად.

ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ?

— მიუხედავად ტყის ხანძრის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ყველა ღონისძიების გატარებისა, ზოგიერთი მოქალაქე მაინც დაუდევრად იქცევა, რაც იწვევს ტყისათვის ცეცხლის გაჩენას. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. 26 ივლისს მცხეთის რკინიგზის სადგურის მარცხენა მხარეს, არმაზის მახლობლად მატარებლიდან ჩაუქრობელი პაპიროსის გადაგდების შედეგად ცეცხლი მოედო გამხმარ ბალახს და დაიწვა 2 ჰექტარი ტყე.

31 ივლისს ჯვარის მონასტრის ფერდობზე გაჩენილმა ხანძარმა მოსპო 41 ჰექტარი ტყე. ცეცხლი გაჩნდა წყალსადენის მილების შედუღების შედეგად გამოწვეული ნაპერწკლით. პირველად ცეცხლი წაეკიდა გლდანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე გამხმარ ბალახს, სწრაფად გაძლიერდა, მოედო ტყეს და ორი საათის განმავლობაში ცეცხლმა მოიარა 48,6 ჰექტარი ფართობი.

აქვე უნდა დავასახელოთ ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ხანძრის გაჩენაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი მ. ელისაშვილი და შემდუღებელი მუშა ნ. მათიაშვილი იმ დღეს დილის 9 საათზე იწყებდნენ მილების შედუღებას. მცხეთის სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის მუშაკმა მ. კახმარაშვილმა აუკრძალა სამუშაოს შესრულება, რადგან ამით შეიძლებოდა ცეცხლი გაჩენოდა ტყეს. მათ მართლაც დატოვეს სამუშაო, მაგრამ დროებით. კვლავ დაბრუნდნენ და დაიწყეს მუშაობა. ახლა მცხეთის რაიონის სახანძრო რაზმის ინსპექტორი მ. კახელაშვილი წაადგათ თავზე და იმანაც აუკრძალა საშემდუღებლო სამუშაოების შესრულება. მ. ელისაშვილმა და ნ. მათიაშვილმა თითქოს გაუგონეს და წავიდნენ. მაგრამ მალე დაბრუნდნენ და ისევ შეუდგნენ მილების შედუღებას, რამაც გამოიწვია ეს საშინელი ხანძარი. ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობდნენ ტყის დაცვის მუშაკები და მოსახლეობა, მაგრამ დაიწვა 41 ჰექტარი ტყე და ზარალი 22448 მანეთია. დამნაშავე პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

5 აგვისტოს ხუდადოვის ტყის ნახევარი ჰექტარი დაიწვა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი მახლობლად მცხოვრები ორი ბავშვი იყო, რომლებიც გაიქცნენ. დიდი ჭაფა დაადგათ სატყეო მეურნეობის მუშაკებს და თბილისის სახანძრო რაზმს, თორემ ცეცხლი მთლიანად გადაბუგავდა ტყეს.

სულ ამ ექვსი თვის განმავლობაში საქართველოში აღრიცხულია ტყის დაწვის 16 შემთხვევა. დაიწვა 46 ჰექტარი სხვადასხვა ჯიშისა და ხნოვანების ტყე. აქედან ორი ხანძარი იყო მცხეთაში, დანარჩენი კი თბილისის ირგვლივ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თბილისის მცხოვრებლები, დამსვენებლები არ იცავენ ხანძრის საწინააღმდეგო წესებს. ზოგიერთი მათგანი უდიერად ეპყრობა ერისა და ხალხის ამ შესანიშნავ საუნჯეს.

— ტყე და მწვანე ნარგავები ხალხის კუთვნილებაა, მისი სიკეთით ყველას შეუძლია ისარგებლოს. მისი მოვლა, დაცვა და გაფრთხილება ყველა მოქალაქის მოვალეობაა. რაც შეეხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, მას მთელი რიგი ღონისძიებები აქვს შემუშავებული, რათა თავიდან იქნას აცილებული ტყის დაწვა და გაჩანაგება. მთავარია ფართო საზოგადოებრიობის დარაზმვა, რათა ყოველი მოქალაქე ბუნების ქომაგი იყოს.

ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ გაიმართა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამსვლელი სესია, რომელსაც ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, ეკონომისტები, ბუღალტრები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა თავმჯდომარეები და სოფლის სამმართველოს მუშაკები.

სესიაზე მოისმინეს მოხსენებები: „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობაში", „თერჯოლის რაიონის აგროკლიმატური პირობები", „სამანქანო-სატრაქტორო პარკის გამოყენება თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებში", „მევენახეობის რენტაბელობის ამაღლების გზები თერჯოლის რაიონში".

ვ. კუტალაძე.

ᲘᲛ ᲥᲐᲠᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ უღრანი ტყე, პარტიზანების ბინა და საფარველი. ტყისაც ისევე ეშინოდათ ფაშისტებს, როგორც პარტიზანებისა. ყოველი ხის ძირას პარტიზანი ელანდებოდათ. ასეც იყო. პარტიზანები ბლომად იყვნენ ბელორუსიის ტყეებში. ისინი რისხვას ატეხდნენ, მუსრს ავლებდნენ მტერს.

...მაგრამ მძიმე იყო პარტიზანული ცხოვრება. სიცივე, ნესტი, ჭაობი, ხშირად შიმშილიც. მაგრამ ადამიანთა გაუტეხელ გულს ყველაფერი შესძლებია. ვინ იცის რამდენ ქართველ ვაჟკაცს უბრძოლია ბელორუსიაში, რამდენს დაუღვრია სისხლი ამ მიწაწყლის განთავისუფლებისათვის.

...გენერალ კორაჯს (კომაროვს) მოუსვენრობა ეტყობოდა. იგი ტყის შუაგულში სახელდახელოდ გამართულ პატარა აეროდრომთან, მეკავშირე თვითმფრინავი ძლივს რომ დაჯდებოდა, დაფიქრებული მიმოდიოდა. ეჰეი არ იყო, გენერალი თვითმფრინავს ელოდა.

გენერალი განმარტოებით შედგა. ცას თვალს არ აშორებდა. ახლა მალიმალ ისწორებდა ჭაღარა თმას. იქვე, შორიახლო იდგა შენაერთის რამდენიმე მებრძოლი.

უცებ „აეროდრომს" პლანერმა გადაუქროლა და გენერლის სახეს კმაყოფილების ღიმილი მოეფინა. პლანერმა წრე მოხაზა და ერთ ციცქნა მინდორზე მშვიდობით დაეშვა. გენერალმა მეკავშირე იხმო და მფრინავთან შესახვედრად გაგზავნა, თან ერთ-ერთი რაზმეულის დაზვერვის უფროსი ნოე იაშვილი გააყოლა.

მფრინავი გადმოვიდა და მეკავშირეს პაკეტი გადასცა. ნოე იაშვილი თვალს არ აშორებდა მოხდენილ ვაჟკაცს, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— ქართველი ხარ?

მაშინ კი ჯიქურ შემოხედა მფრინავმა:

— ქართველი ვარ, შოთა მერკვილაძე,— თქვა და ფრთიდან ძირს ჩამოხტა, ნოე იაშვილს ხელი ძმურად ჩამოართვა.

მეკავშირე პაკეტით გენერლისაკენ მიეშურებოდა. ქართველი ვაჟკაცები კი ერთმანეთს ნაპოვნი ძმებივით შეხაროდნენ.

— მითხრეს, ტყვია-წამალი გიჭირთო... —მიმართა შოთამ ნოეს, ამოდი ფრთებზე. მე თქვენთვის კიდევ მაქვს რაღაც...

ორივენი პლანერის ფრთებზე ავიდნენ. მერკვილაძემ კაბინის გვერდით ჩანთიდან თორმეტი ხელყუმბარა ამოიღო და სათითაოდ ჩაუწყო იაშვილს, თან ხუმრობით დაუმატა:

— თუ ცოცხლები გადავრჩით და ერთმანეთს საქართველოში შევხვდით, თორმეტი ბოთლი ღვინით გამისტუმრებ ვალს.

მაშინ საეჭვო იყო, ვინ გადარჩებოდა, ვინ დაეცემოდა, შეხვდებოდნენ თუ არა ოდესმე ერთმანეთს ფრონტელი მეგობრები. ეს ოცნება იყო. ქუხდა ომი. იღვრებოდა სისხლი.

ვინ იცის რამდენი ფაშისტი გამოსალმეს სიცოცხლეს პარტიზანებმა. მტრის რამდენი ეშელონი გადაჩეხეს.

ომმა გადაიქუხა. გამარჯვებული ვაჟკაცები შინ დაბრუნდნენ.

დაბრუნდა ნოე იაშვილიც. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ვაჟკაცს დიდის ამბით შეეგებნენ ნათესავები, მოკეთეები და ერთ დღეს საზეიმო შეხვედრაც მოუწყვეს თბილისში ფუნიკულორის პლატოზე.

ვაჟკაცი ზეიმობდა, უხაროდა, რომ საბჭოთა მეომრების, ჩვენი ხალხის ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია, რომ აოხრებისაგან გადარჩენილი თბილისი ახლა ლამაზად, საზეიმოდ გამოიყურებოდა. სწორედ ეს სილამაზე, ამ მიწის ყვავილი უდუღდა მკერდში შორეულ ბელორუსიაში, პოლონეთსა და რუმინეთში მებრძოლ ვაჟკაცს.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა. ნაომარ ვაჟკაცს ულოცავდნენ მარჯვენას. უცებ ნოემ შორიახლო თვალი მოჰკრა სხვა მაგიდასთან მჯდომ ოფიცრის ფორმაში გამოწყობილ ვაჟკაცს, რომელსაც მეგობრები და ნათესავები ასევე უქებდნენ მარჯვენას, ლოცავდნენ მის შინ გამარჯვებითა და მშვიდობით დაბრუნებას.

ვეღარ მოისვენა ნოე იაშვილმა, ოფიციანტი იხმო.

— გამიგე, თუ ძმა ხარ, რა გვარია ის მფრინავი მაიორი.

როცა ოფიციანტმა იაშვილს ამცნო, ეგ მფრინავი შოთა მერკვილაძეაო, გული სიამით აუძგერდა ნოეს. ოფიციანტს ხმის თრთოლვით უთხრა:

— თორმეტი ბოთლი ღვინო მიართვი იმ მაიორს ჩემი სახელით.

და როცა ბოთლებით მძიმედ დატვირთული ოფიციანტი შოთა მერკვილაძეს მიადგა, მაიორს გაუკვირდა. ოფიციანტმა იაშვილისკენ გამოიხედა და მაშინ კი შორით-შორიდან თვალი ჰკიდა ერთმანეთს ორმა ომგადახდილმა ვაჟკაცმა. მძიმე ნაბიჯებით წამოვიდნენ და მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს. და ამიერიდან ნოე იაშვილი და შოთა მერკვილაძე განუყრელი მეგობრები არიან. ორივენი ერთ სისტემაში მუშაობენ, საზოგადოებრივი კვების საქმეს ემსახურებიან.

სამშობლოსა და ხალხის საქმისადმი სიყვარული მათი უპირველესი საზრუნავი და ამოცანა იყო. ქვეყნის ერთგული ვაჟკაცებისთვის დღესაც ეს არის მთავარი საზრუნავი.

თ. გოგოლაძე.

ს უ რ ა თ ზ ე: სოხუმის რაიონის სოფელ აბჟაკვას 180 ოჯახს ემსახურება ფოსტის მუშაკი კლარა ჩაჩანიძე. 10 წლის მანძილზე სოფლის მშრომელებს მასზე არც ერთი საყვედური არ გამოუთქვამთ. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მას პერსონალურ პენსიონერ მიხეილ კალანდიასთან ერთად, რომელსაც ახალი გაზეთები მიუტანა.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ

ᲢᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲖᲘ ᲝᲑᲝᲚᲘ...

ᲘᲐᲜᲔᲣᲚᲘ ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ჩოხატაურის რაიონში. იგი მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზეა. ამ სოფლის კოლმეურნეობა განთქმულია ცოლიკაურის ჯიშის ვაზით. კარგი მოსავალიც მოჰყავდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში რატომღაც ხელი აიღეს ვაზის მოვლა-პატრონობაზე... ეს ხდება საკოლმეურნეო ვენახებში, კოლმეურნეთა პირად მეურნეობაში კი გულს ახარებს საუკეთესოდ მოვლილი ვენახი.

ერთი ასეთი ფაქტიც.

მკითხველის თხოვნით ამ დღეებში იანეულს ვეწვიეთ. კოლმეურნეობის კანტორიდან ხელისგულივით მოჩანს ეს კოპწია სოფელი, მისი ბაღ-პლანტაციები. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კანტორის წინ გაშენებულმა ვენახმა. ობოლი ვაზი ძლივსღა მოჩანდა სარეველებში. ჩემთან ერთად იყო ჩოხატაურის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის განთიადის" რედაქტორი გ. სიხარულიძე.

დავინტერესდით, ვენახი დავათვალიერეთ. დავრწმუნდით, რომ წელს ადამიანის ხელი არ შეხებია დაახლოებით ერთ ჰექტარზე მეტ სრულმოსავლიან ვენახს. სარეველა ბალახები ვაზს სჭარბობდნენ სიმაღლეში, სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას: „ტირის ვაზი ობოლი"...

როგორც გამოირკვა, ეს ვენახი მოსავლელად აქვთ მიჩენილი კოლმეურნეებს ა. ვაჩეიშვილს, ა. მაქარიშვილს, ს. თოდრიას. იგი ეკუთვნის კოლმეურნეობის № 2 ბრიგადას (ბრიგადირი უ. კალანდაძე).

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ადგილზე არ დაგვხვდნენ. ბუღალტერმა ი. გიორგაძემ უხერხულად იგრძნო თავი და გულახდილად გვითხრა: ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ ბევრჯერ ვილაპარაკეთ, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მოვაგვარეთ ეს საქმეო.

იქვე ასეთ ფაქტს წავაწყდით. კანტორის წინ ჩრდილში რამდენიმე კოლმეურნე და ახალგაზრდა ისხდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. ასეა აქ თითქმის ყოველდღე. მათს თვალწინ ვენახი სარეველებშია გახვეული, იღუპება და გული მაინც ამაზე არავის შესტკივა.

კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა ხშირად იწვევა თავმჯდომარის კაბინეტში. ეს კაბინეტი კი პირდაპირ გადაჰყურებს დასარევლიანებულ ვენახს. საინტერესოა, გამგეობის წევრები ამას რომ ხედავენ, რატომ მაშინვე თვალს ხუჭავენ?

ახლა მაინც რას იტყვიან იანეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კალანდაძე და აგრონომი ამხ. სიხარულიძე?

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.** ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეებმა ექსკურსია მოაწყვეს გმირ ქალაქ სტალინგრადში.

ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, განსაკუთრებით მოეწონათ გმირთა უკვდავსაყოფად აგებული მემორიალურ-არქიტექტურული ძეგლები, მაღაროელები გაეცნენ ვოლგოგრადის მშვიდობიან ცხოვრებას.

დ. ბრეგვაძე.

● **ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ.** ქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — ლენინის სახელობის მოედნის გვერდით მდინარე ტყიბულაზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა არქიტექტურულად გაფორმებული ახალი ხიდი ქვეითად მოსიარულეთათვის.

ვ. ცისკარიძე.

● **ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ.** „კურორტვაჭრობის" განყოფილებამ გახსნა ახლადაგებული სამსართულიანი უნივერმაღი 50 სამუშაო ადგილით. უახლესი მოწყობილობით აღჭურვილ უნივერმაღს აქვს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აგრეთვე ტრიკოტაჟის, გალანტერიის, კულტსაქონლის, საოჯახო საქონლის, წინდების სექციები, ბავშვთა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟისა და თეთრეულის განყოფილებები.

შ. ჯავახიშვილი.

● **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** შავიზღვისპირა სოფელი ანაკლია უწყლოდ იყო დარჩენილი. ანაკლიის მერძევეობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ჯერ კიდევ ადრე რიყის უბანში 315 მეტრის სიღრმეზე გათხარა ჭაბურღილი, საიდანაც ამოჩქეფა შესანიშნავმა წყალმა.

წელს ჭაბურღილიდან 4,5 კილომეტრზე სოფლის ცენტრში გამოიყვანეს წყალი. 80 კომლმა, სასადილომ, საშუალო სკოლამ მიიღეს სუფთა სასმელი წყალი.

გ. ჟორჟიკაშვილი.

● **ᲪᲐᲒᲔᲠᲘ.** რაიონულ ცენტრში გაიხსნა ქალთა სილამაზის სალონი. აქ კვალიფიციური სპეციალისტები აკეთებენ ყველა სახის ვარცხნილობას, აგრეთვე თმის ქიმიურ დახვევას და შეღებვას.

სალონში მალე გაიხსნება და მუშაობას დაიწყებს კოსმეტიკის კაბინეტი.

ვ. ბეჟკენაძე,

არქეოლოგთა მონაპოვარი

ვანის მახლობლად, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები. უკვე გათხრილია ქალაქის კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი, რამდენიმე ტაძარი, საფეხურებიანი საკურთხეველი, ძველი წელთაღრიცხვის III-I საუკუნეების რამდენიმე საზოგადოებრივი ნაგებობა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეების სამარხები მრავალრიცხოვანი ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით.

წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ **ოთარ ლორთქიფანიძის** ხელმძღვანელობით, ვანის ნაქალაქევის გათხრას რომ აგრძელებს, აღმოაჩინა ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-I საუკუნეების მთელი რიგი ნაგებობები და ცალკეული კედლები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 3 მეტრი სისქის თავდაცვითი კედელი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეშია აშენებული. ამიერკავკასიის ელინისტური ეპოქისათვის უნიკალურია საშუალო სიდიდის აბსიდიანი შენობა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეებით თარიღდება.

განსაკუთრებით დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს 14-მეტრიანი შენობის გათხრა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში კირიანი თეთრი ფილაქვისაგან არის აშენებული და ხის შენობის ნარჩენები. გათხრების დროს აღმოჩენილია სხვადასხვა ფორმისა და ორნამენტის კოლხური კერამიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

ვანის ნაქალაქევის გათხრები გრძელდება.

სურათზე: გათხრები ცენტრალურ ტერასაზე.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ი. კ. ორჯონიკიძე

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივანე კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

ი. ორჯონიკიძე დაიბადა 1889 წელს სოფელ ღორეშაში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. ამის შემდეგ სწავლა განაგრძო ხონის (წულუკიძე) პედაგოგიურ სემინარიაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. იყო მასწავლებელი, დაწყებითი სკოლის გამგე.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ი. ორჯონიკიძე ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას. მას არაერთხელ შეუსრულებია თავისი უფროსი ძმის გ. კ. ორჯონიკიძის დავალებანი. მის ბინაში ხდებოდა პროფესიონალ რევოლუციონერთა შეხვედრები, ეწყობოდა არალეგალური თათბირები და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე ი. ორჯონიკიძე ჩადგა იმათ რიგებში, ვინც ხელი მოჰკიდა ახალი სოციალისტური საქართველოს მშენებლობას.

1921-1927 წლებში ი. ორჯონიკიძე მუშაობდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში საქმეთა მმართველად. 1928 წელს სასწავლებლად გაიგზავნა ქ. მოსკოვში. აქ 1930 წელს დაამთავრა საფინანსო ინსტიტუტი. ამის შემდეგ ი. ორჯონიკიძე კვლავ ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში, სადაც უჭირავს სხვადასხვა ხელმძღვანელი პოსტი.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ი. ორჯონიკიძე პენსიაზე იმყოფებოდა. ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას, ახალგაზრდობის წინაშე გამოდიოდა საინტერესო მოგონებებით დიდი რევოლუციონერის გ. კ. ორჯონიკიძის ცხოვრებაზე.

გულისხმიერი, შესანიშნავი ადამიანის ივანე კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

გზა მაღალი ხელოვნებისაკენ

ხუროთმოძღვართა კიდევ ერთი გამოშვება

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმში ექსპონირებულმა 1971 წლის ხუროთმოძღვართა სადიპლომო ნამუშევრებმა. სასიხარულოა, რომ ამ ტრადიციული გამოფენის ექსპოზიცია ყოველწლიურად იზრდება, საინტერესო, შინაარსით თვალსაჩინო და მრავალფეროვანი ხდება. ეს ბუნებრივია. აკადემიაში თითქმის ყოველწლიურად უფრო მეტი ხელოვანი მზადდება ახალი სამხატვრო პროფილით.

წელს ფერწერის, ქანდაკების გრაფიკის, კერამიკის, არქიტექტურის, საფეიქრო ნაწარმის მხატვრული დამუშავების, მოდელირების, ინტერიერის, გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობაზე წარდგენილი იყო 120 სადიპლომო ნაშრომი, შარშანდელზე 28-ით მეტი.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე პირველნი წარსდგნენ არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომანტები. კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის უხუცესმა ხუროთმოძღვარმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა მაღალი შეფასება მისცა კურსდამთავრებულთ. სადიპლომო ნაშრომების ერთ-ერთი დიდი ღირსება ის იყო, რომ მათ ავტორებს ყოველი პროექტი გადაწყვეტილი ჰქონდათ მაღალ ტექნიკურ დონეზე, რაც შესაძლებლობას ხდის მათს რეალურ განხორციელებას. სადიპლომო შრომები დამუშავებულია გრაფიკული და მხატვრული ელემენტების მაღალ დონეზე. ყველა პროექტს, წინანდელი სადიპლომო ნამუშევრებისაგან განსხვავებით, თან ერთვის საპროექტო ობიექტების ყველაზე რთული კონსტრუქციულ-არქიტექტურული კვანძის გაანგარიშება და დეტალური გამოხაზვა.

კიდევ ერთი დეტალი: სადიპლომო პროექტები დაგეგმარდა ასაშენებელი გარემოცვის ანსამბლური შერწყმით. ყველა პროექტის განხორციელებისათვის ავტორებმა გამოიყენეს უკანასკნელი ტექნიკური მონაცემები. თითქმის ყველა სადიპლომო შრომა განირჩეოდა გრაფიკული და მხატვრული შესრულების მაღალი კულტურით: გეგმების, ჭრილების, ფასადების და სხვა არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტების ოსტატური გააზრებით. რაც მთავარია, ფართოდ არის გამოყენებული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების გონივრული სინთეზი, რამაც განაპირობა სადიპლომო ნამუშევრების ინტერიერებში, ექსტერიერებში სკულპტურული ფიგურების და მონუმენტური ფერწერის გამოყენება.

საინტერესო და აქტუალური იყო სადიპლომო ობიექტები: „ტურისტული ბაზის კომპლექსი თუშეთის მთაგორიან რელიეფზე", „სამხატვრო აკადემიის ახალი არქიტექტურული ანსამბლი", „ცირკი ქუთაისში", „გადახურული სტადიონი 100000 მაყურებლისათვის", „სავაჭრო ცენტრი დიღმის მასივში" და სხვ.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიამ თერთმეტი სადიპლომო შრომიდან ცხრა დიპლომანტს „ფრიადი" შეფასება მისცა.

ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა მაღალი შეფასება შემთხვევითი როდია. სწორედ ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ლია ცისკაძემ პირველი პრემია დაიმსახურა მსოფლიო ახალგაზრდობის ხუროთმოძღვართა ფორუმზე საფრანგეთში, ხოლო ვ. ცინცაძემ — მსოფლიო ფორუმზე ათენში. შარშანწინ კი ამავე ფაკულტეტის აღზრდილმა ნ. ნაჭყებიამ საკავშირო პირველი პრემია დაიმსახურა ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა შორის.

ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ სამხატვრო აკადემიამ თავისი არსებობის 49 წლის მანძილზე სამშობლოს აღუზარდა სხვადასხვა პროფილის 18 ეროვნების 2.000-მდე ხელოვანი, მათ შორის 400-მდე ხუროთმოძღვარი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ს. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

დილაადრიან გამოთვრა და...

სოფელში ახლა გახურებული სამუშაოებია. საკოლმეურნეო მინდვრებს მოსავლის ასაღებად დიდი და პატარა შესევია. გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის მძღოლი ანზორ მუმლაძე კი დილაადრიან არყით გამოიბრუჟა და კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანას აღმადაღმა დაატარებდა.

ამ პაპანაქება სიცხეში კიდევ რამდენიმე ჭიქა ღვინო დაუმატა და მეტი რაღა უნდა კაცს. ენას პირში ვერ აბრუნებდა, მანქანის კაბინაში ჩაისვა პატარა ნათესავი და ჭირითის ეზოში შესულმა შუადღისას სატვირთო ავტომანქანა ხრამში გადაჩეხა. ლოთი მძღოლი და თერთმეტი წლის მგზავრი ღაიმტვრნენ და საავადმყოფოში მოათავსეს.

მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში, როცა კოლმეურნეობას ყოველი კაცი ესაჭიროება, მით უმეტეს სატვირთო ავტომანქანის მოცდენა დანაშაულად ითვლება. საკითხავია — სად იყვნენ სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის მესვეურები? ნუთუ მათ იმდენი ტრანსპორტი აქვთ, რომ ვერ შეამჩნიეს როგორ ცდებოდა ლოთი მძღოლის ხელში სატვირთო ავტომანქანა?

გ. გორელი.

მარსი — მზის პირისპირ

პლანეტა მარსის საიდუმლოებანი

ამ დღეებში ყველას, ვინც მოისურვებს, ადვილად შეუძლია საღამოდანვე შეამჩნიოს ცის აღმოსავლეთ ნაწილში ჰორიზონტთან ახლოს მოელვარე ალისფერი მნათობი. ეს არის მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა (ცთომილი), რომელმაც სწორედ თავისი ასეთი დამახასიათებელი „სისხლიანი" შეფერილობის გამო მიიღო ძველ რომაელთა მითოლოგიური ომის ღვთაების — მარსის სახელწოდება, რაც საერთაშორისო სახელად იქცა. ამავე მიზეზით უწოდეს ამ პლანეტას ძველმა ბერძნებმა არეა, თავიანთი მითოლოგიური ომის ღმერთის — არესის პატივსაცემად.

პლანეტა მარსის ძველი ქართული სახელწოდებაა მარიხი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს მნათობი ოდითგანვე ქართველი ხალხის გაგებითაც ომისა და სისხლისღვრის სიმბოლოს წარმოადგენს. ეს ძალიან კარგად არის ასახული, მაგალითად, დიდი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში". მართლაც, აი როგორი სიტყვებით მიმართავს თინათინზე გამიჯნურებული ავთანდილი პლანეტა მარსს:

„მოდი, მარიხო, უწყალოდ
დამჭერ ლახვრითა შენითა,
შე-ცა-მღებე და შემსვარე
წითლად სისხლისა დენითა".

მარიხის, როგორც „ომის მესვეურის" გამომხატველის, დამადასტურებელია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში" ხმარებული სიტყვა „გულმარიხიანი", რაც რუსთაველის აზრით ნიშნავს უშიშარ მებრძოლს, გულად ადამიანს.

მარსი ამჟამად მთვარის შემდეგ ყველაზე უფრო კაშკაშა მნათობია ღამის ცაზე. იგი მთელ ღამეს მოჩანს: ამოდის საღამოს, შუაღამისათვის აღწევს მაქსიმალურ სიმაღლეს ჰორიზონტიდან (27 გრადუსს), შემდეგ კვლავ დაბლა ეშვება და ჩადის გათენებისას.

ასე რატომ კაშკაშებს მარსი ახლა? მსგავსად ჩვენი დედამიწისა, მარსი მოძრაობს მზის ირგვლივ და ერთ სრულ შემოვლას ანდომებს 687 დღეღამეს, ანუ თითქმის დედამიწის ორ წელიწადს. მზის ირგვლივ დედამიწისა და მარსის გარემოქცევისას ეს ორი პლანეტა ხან მზიდან სხვადასხვა მხარეს იმყოფება, ხან კი ორივე ერთ მხარეს მოექცევა ხოლმე. ცხადია, რომ დედამიწასა და მარსს შორის მანძილი მინიმალური იქნება უკანასკნელ შემთხვევაში. ასეთ დროს ამბობენ, რომ მარსი პირისპირდგომაშია მზესთან.

მაგრამ დედამიწისა და მარსის ორბიტების გაწელილობის გამო ამ ორ სხეულს შორის მანძილი ყოველი პირისპირდგომისას ერთნაირი კი არ არის, არამედ იცვლება დაახლოებით 56 მილიონი კილომეტრიდან (ეგრეთწოდებული დიდი პირისპირდგომისას) 100 მილიონ კილომეტრამდე (ყველაზე უფრო არახელსაყრელი პირისპირ დგომისას). მარსის დიდი პირისპირდგომები მეორდება ყოველი 15-17 წლის შემდეგ და ხდება ყოველთვის აგვისტოში ან სექტემბერში. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი სწორედ წლეულს. მარსის უკანასკნელი დიდი პირისპირდგომა იყო 1956 წლის 10 სექტემბერს, მომავალში კი ეს მოვლენა განმეორდება 1988 წლის 18 სექტემბერს.

მარსის წლევანდელი დიდი პირისპირდგომა მოხდა 10 აგვისტოს. ამ დღეს მზე-დედამიწა-მარსის განლაგება ყველაზე უფრო მეტად მოგვაგონებდა სწორი ხაზის მიმართულებას. მაგრამ მარსი ერთხანს კვლავ განაგრძობს დედამიწისაკენ სვლას და მინიმალური მანძილით (56 მილიონ 200 ათასი კილომეტრით) მოგვიახლოვდება 12 აგვისტოს. ამასთანავე მისი ხილული კუთხური დიამეტრი გაიზრდება რკალის 25 სეკუნდამდე.

ასტრონომები მარსის დიდი პირისპირდგომის მოვლენას ყოველთვის შეუნელებელი ინტერესით ხვდებიან და აწარმოებენ ინტენსიურ დაკვირვებებს ამ ციურ სხეულზე. ამ დროს იმდენად მოსახერხებელი და ნაყოფიერია მარსის შესწავლა, რომ ეს პლანეტა მთელი მსოფლიოს ასტრონომთა ყურადღების ცენტრში ექცევა. ეს ყურადღება, ახლაც არ არის დამცხრალი, მიუხედავად იმისა, რომ კოსმოსის ერაში ვცხოვრობთ და მარსზე უკვე არაერთხელ გაიგზავნა საბჭოთა და ამერიკული სადგურები ამ პლანეტის შესასწავლად „ადგილზე მისვლით".

მართლაც, დედამიწიდან მარსის დაკვირვებას მძლავრი ტელესკოპებით ჯერ კიდევ შეუძლია ბევრი საიდუმლო გამოსტაცოს ამ პლანეტას. ავიღოთ თუნდაც მარსის თანამგზავრების ფობოსისა და დეიმოსის (ქართულად: „შიში" და „საშინელება") მოძრაობის საკითხი. ეს თანამგზავრები, სხვათა შორის, აღმოაჩინა ჯერ კიდევ 1877 წელს, მარსის ერთ-ერთი დიდი პირისპირდგომისას, ამერიკელმა ასტრონომმა ჰოლმა. მანვე მისცა სახელწოდებანი მათ ბერძნული მითოლოგიური ომის ღმერთის ვაჟიშვილების, მისი თანამებრძოლებისა და მხლებლების სახელების მიხედვით.

უკანასკნელ წლებში, როცა ფობოსსა და დეიმოსზე შესრულებული დაკვირვებები დაამუშავეს და ადრინდელ დაკვირვებებს შეადარეს, დადგინდა, რომ ამ თანამგზავრების მოძრაობაში ადგილი აქვს ეგრეთწოდებულ საუკუნეობრივ აჩქარებას. ფობოსი, მაგალითად, 50 წლის განმავლობაში თავის ორბიტაზე 5 გრადუსით უფრო წინ აღმოჩნდა იმ ადგილთან შედარებით, სადაც იგი უნდა ყოფილიყო, აჩქარების გარეშე რომ ემოძრავა. სხვა რომელიმე პლანეტის არც ერთი თანამგზავრის მიმართ ასეთი მდგომარეობა არ არსებობს.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს უცნაური მოვლენა? საბჭოთა მეცნიერმა პროფესორმა ი. შკლოვსკიმ წამოაყენა მარსის თანამგზავრების ხელოვნურობის ჰიპოთეზა. მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ დაახლოებით 500 მილიონი წლის წინათ მარსზე ცხოვრობდნენ უმაღლესი განვითარების მოაზროვნე არსებანი, რომელთაც შექმნეს ორი ღრუ გიგანტური ხელოვნური თანამგზავრი ფობოსი და დეიმოსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ასტრონომთა უმრავლესობა არ იზიარებს ამ ჰიპოთეზას. ისინი თვლიან, რომ მარსის თანამგზავრთა საიდუმლოს ამოხსნისათვის საჭიროა შესრულდეს ახალი, უფრო ზუსტი, ასტრომეტრიული დაკვირვებანი მათი მდებარეობის განსაზღვრის მიზნით. აი სწორედ ასეთ დაკვირვებებს აწარმოებენ ახლა ასტრონომები მსოფლიოს მრავალ ობსერვატორიაში, მათ შორის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაშიც.

პლანეტა მარსს ბევრი სხვა საიდუმლოც აქვს, რომელთაგან უმთავრესია მის ზედაპირზე სიცოცხლის არსებობის საკითხი. მარსი მზის სისტემაში ერთადერთი ისეთი პლანეტაა, რომელზეც, როგორც მრავალი დაკვირვებული ფაქტი გვიჩვენებს, მოსალოდნელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეხედულება რამდენადმე შეირყა ამ ბოლო ხანებში, რადგანაც კოსმოსური ხომალდების მიერ ახლო მანძილიდან გადაღებულმა სურათებმა გვიჩვენა, რომ მარსის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია კრატერებით. ამ მხრივ მარსის ზედაპირის რელიეფი ძალიან მოგვაგონებს მთვარის რელიეფს.

სხვა უფრო მნიშვნელოვანი დაბრკოლებანიც არის ამ საკითხის გადაწყვეტაში. კერძოდ, დადგენილია, რომ მარსის ატმოსფერო ძირითადად შედგება ნახშირორჟანგა გაზისაგან და იქ ძალიან მცირე რაოდენობით არის სიცოცხლისათვის აუცილებელი ისეთი ნივთიერებანი, როგორიც ჟანგბადი და წყლის ორთქლია.

ამასთან ერთად მარსზე ძალიან მკაცრი კლიმატური პირობებია. ატმოსფერული წნევა მარსის ზედაპირზე 100-ჯერ და უფრო მეტად მცირეა, ვიდრე დედამიწის ზედაპირზე. ძალიან დიდია ტემპერატურის დღეღამური და სეზონური რყევა. თუ, მაგალითად, მარსის ეკვატორზე დღისით ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს პლუს 20 გრადუსს ცელსიუსით, ღამით შეიძლება დაეცეს მინუს 70 გრადუსამდე. ზამთრის და ზაფხულის ტემპერატურათა სხვაობა კი შეიძლება აღემატებოდეს 120 გრადუსს.

შესაძლებელია თუ არა ასეთ ვითარებაში ვივარაუდოთ მარსზე სიცოცხლის არსებობა? სკეპტიკოსი მეცნიერები ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევიან. ოპტიმისტები კი ამბობენ, გარემოსადმი სიცოცხლის შეგუების უნარი იმდენად დიდია, რომ ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარ მოულოდნელობათა შესახვედრადო.

ადამიანის სულ ახალი და ახალი გამარჯვებანი ბუნებაზე, მისი გაჭრა კოსმოსში ღრმად გვარწმუნებს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა კაცობრიობა მარსზე ადამიანის გაფრენის საკითხსაც წარმატებით გადაჭრის და საბოლოოდ ამოიცნობს ამ პლანეტის საიდუმლოებებს.

ვ. ჯაფიაშვილი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ინფარქტის წინააღმდეგ — მოძრაობა

ვარშავა. (ახალი ამბების სააგენტო — ინტერპრესი). ეს ურყევი წესი იყო: ავადმყოფი, რომელიც მიოკარდის ინფარქტს გადაიტანდა, დიდხანს უნდა დარჩენილიყო ლოგინად. დღეს მედიკოსები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ აღდგენითი თერაპიის საუკეთესო მეთოდია მოძრაობა. ასეთი აზრისა არიან ვროცლავის სამედიცინო აკადემიის კარდიოლოგიური კლინიკის ექიმებიც. იქ ფართოდ იყენებენ მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. ინფარქტის მსუბუქი ფორმის დროს პაციენტებს უკვე ორი კვირის შემდეგ ნებას აძლევენ შეასრულონ გარკვეული მოძრაობანი, ხოლო სამი კვირის შემდეგ — იარონ.

კვირაში ორ-სამჯერ კლინიკაში სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტთა და ექიმ-კარდიოლოგთა ხელმძღვანელობით ეწყობა სპეციალური მეცადინეობა „ინფარქტიანებისათვის". ვარჯიშის ინტენსივობა თანდათანობით ძლიერდება. ნახევარი წლის შემდეგ გადადიან მძლეოსნობაზე — მეცადინეობაში შედის რბენა 60 მეტრზე, მარში-გარბენა 500 მეტრზე და სპორტული თამაშების — ფრენბურთისა და კალათბურთის ელემენტები. წელიწადნახევრის დაკვირვებათა საფუძველზე დადგენილია, რომ ასეთ მკურნალობას კარგი შედეგები მოაქვს. ავადმყოფებს უქრებათ ქოშინი, უმცირდებათ ტკივილები გულის არეში. ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური მდგომარეობა ავადმყოფობის წინა პერიოდთან შედარებით კიდევაც უმჯობესდება.

ვროცლავის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების გადაწყვეტილებით ქალაქში უახლოეს ხანში გაიხსნება აღდგენითი თერაპიის სპეციალური საკონსულტაციო პუნქტი.

helsinki
em 71

მძლეოსანთა ფორუმი ჰელსინკში

ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონი დიდი ასპარეზობის არენა გახდა. ორი დღეა აქ მიმდინარეობს ევროპის მეათე, საიუბილეო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 29 ქვეყნის ალმები ფრიალებს ამ სტადიონის თავზე — სტარტს იღებს ჩვენი კონტინენტის 1400-მდე სპორტსმენი. ფაქტიურად ეს არის ძალთა გენერალური შემოწმება მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობათა წინ, რომელიც მომავალი წლის ზაფხულში გაიმართება.

პირველი დღის ასპარეზობათა პროგრამიდან უნდა გამოვყოთ სამი სახეობა — ბირთვის კვრა ქალთათვის, სპორტული სიარული 20 კილომეტრზე და რბენა 10.000 მეტრზე. სწორედ ამ სახეობებში გათამაშდა მედლების პირველი სამი კომპლექტი. პირველი სიხარული საბჭოთა გუნდს მოუტანა მსოფლიოს რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში ნ. ჩიჟოვამ. მან მეორე ცდისას აჩვენა შედეგი 20 მეტრი და 16 სანტიმეტრი და კვლავ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ნ. ჩიჟოვა ერთადერთი იყო, რომელმაც გადალახა 20-მეტრიანი ზღვარი. ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები მ. ლანგე (19 მეტრი და 25 სანტიმეტრი) და მ. გუმელი (19 მეტრი და 22 სანტიმეტრი). ორმა დანარჩენმა საბჭოთა სპორტსმენმა — ა. ივანოვამ და გ. ნეჭრასოვამ მეოთხე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. პირველის შედეგია 18 მეტრი და 80 სანტიმეტრი, მეორისა — 17 მეტრი და 56 სანტიმეტრი.

გვიან ღამით დამთავრდა შეჯიბრება სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე. სტადიონის ტრიბუნებს ერთსულოვანი ტაში მოსწყდა, როდესაც სარბენ ბილიკზე გამოჩნდა გამარჯვებული. ეს იყო კიეველი ნ. სმაგა, რომელმაც თვალსაჩინოდ გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ბრინჯაოს პრიზიორმა ნ. სმაგამ აჩვენა დრო 1 საათი, 27 წუთი და 20,2 წამი.

არანაკლებ საინტერესო იყო შეჯიბრება 10.000 მეტრზე რბენაში. მართალია, ამ შეჯიბრებაში ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი (27 წუთი და 56,4 წამი) დაამყარა, მაგრამ იძულებული იყო მესამე ადგილს დასჯერებოდა. აქ ევროპის ჩემპიონი გახდა ფინელი მორბენალი ი. ვაატაინენი — 27.52,8, ხოლო ვერცხლის მედალი მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა ი. ჰააზემ — 27.53,4.

პირველ დღეს მოეწყო აგრეთვე შესარჩევი შეხვედრები 400 მეტრზე თარჯრბენში ვაჟთათვის და 400 მეტრზე რბენაში ქალთათვის. საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ვ. სკომოროხოვმა, დ. სტუკალოვმა და ე. გავრილენკომ, ქალებიდან 400 მეტრზე რბენას გამოეთიშნენ მოსკოველი ნ. კულესნიკოვა და უკრაინელი ლ. აქსენოვა. აქ ბრძოლას საპრიზო ადგილებისათვის განაგრძობს მხოლოდ ნ. ჩისტიაკოვა.

ფრე გდანსკში

გუშინ გდანსკში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში პოლონეთისა და სსრ კავშირის ნაკრებთა შორის.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. მეორე ნახევრის დასაწყისში საბჭოთა ფეხბურთელები უფრო სახიფათოდ უტევდნენ. 56-ე წუთზე კოჟემიაკინის კარგი მიწოდებით კოლოტოვმა წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ მეტოქეებს ჰქონდათ ანგარიშის გადიდების რეალური შესაძლებლობანი, მაგრამ ერთხელ გორბონმა (№ 3) იხსნა კარი, ხოლო მეორეჯერ — ხურცილავამ.

საბოლოოდ ფრე — 1:1.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, მატვიენკო, კოლოტოვი, კონკოვი, დოლმატოვი, დუდარენკო, კოჟემიაკინი, ევრიუჟიხინი.

გაიმარჯვეს სტუდენტებმა

დონის როსტოვი, 10 აგვისტო (საქდესის კორ). დღეს აქ დამთავრდა ჭადრაკში სსრ კავშირის გუნდური პირველობა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბურევესტნიკმა" — 26,5 ქულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ბ. სპასკის („ლოკომოტივი") გამოსვლამ. მან დაამარცხა საერთაშორისო გროსმაისტერი ლ. შტეინი („ავანგარდი"), მ. ტაიმანოვი („ბურევესტნიკი"), რ. ხოლმოვი („სპარტაკი") და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ოსტატ ვ. დოროშკევიჩთან („ტრუდი").

რამდენიმე სტრიქონით

● **სიმფეროპოლში** დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ველოსპორტში ტრეკზე ქალთათვის და საკავშირო შეჯიბრება ვაჟთათვის. გიტში 1000 მეტრზე ადგილიდან უძლიერესი იყო ოდესელი ველომრბოლი ანატოლი იაბლუნოვსკი — 1 წუთი და 9,87 წამი.

● **კიევის** სპორტის სასახლეში დამთავრდა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის მეხუთე ტურნირის ფინალური შეხვედრები ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. საბჭოთა ფრენბურთელებმა დასკვნით შეჯიბრებაში დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი 3:2 და პირველი ადგილი დაიკავეს.



სპორტი

სასამართლოს დარბაზიდან

□

ბრაკონიერი დაისაჯა

მუხტარ ვლადიმერის-ძე გასიევი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონის კოლმეურნეობის ავტომანქანის მძღოლად მუშაობდა. მან 22 ივნისს კოლმეურნეობის საწყობიდან ავტომანქანით 200 კილოგრამი გვარჯილა წაიღო და მდინარე არეშში ჩაყარა. მოიწამლა აუარებელი თევზი. გაიხარა ბრაკონიერმა, მაგრამ ამაოდ.

მ. გასიევს დანაშაულზე წაასწრო ჰიაურის სამონადირეო აღკვეთილის მეურნეობის დირექტორმა ა. ქველიძემ, რომელმაც აქტი შეადგინა და მასალები მილიციის ორგანოებს გადასცა. ბრაკონიერი მ. გასიევი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ სოფელ ფონაში გამსვლელ სესიაზე განიხილა ბრაკონიერ მუხტარ ვლადიმერის-ძე გასიევის საქმე და მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მასვე დაეკისრა სამონადირეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის 3.630 მანეთის გადახდა.

კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ქოზაევი და ეკონომისტი ი. სანაკოევი, რომლებმაც მდინარის მოწამვლის შედეგად მ. გასიევთან ერთად მიიღეს მონაწილეობა განადგურებული თევზის ჭერაში, პროკურატურის წარდგენით კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მოხსნილი იქნენ თანამდებობიდან.

ა. ვაიტაძე,
ლაგოდეხის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

□

სპეკულანტის ხვედრი

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ქვედასაზანოელმა დანიელ ალექსანდრეს-ძე მეგრელიშვილმა მეზობლებისაგან დიდძალი ღვინო იაფად შეისყიდა და ხარკოვის ერთ-ერთ ბაზარში ლიტრს ორ მანეთად ჰყიდდა. ღვინის სპეკულანტს სწორედ მაშინ წაასწრეს, როცა თითქმის სამი ათასი ლიტრი ღვინო გაყიდა.

სპეკულანტ დ. მეგრელიშვილის საქმე ამას წინათ განიხილა ზესტაფონის სახალხო სასამართლომ ვ. სამხარაძის თავმჯდომარეობით და რაიონის პროკურორ შ. ქალმახელიძის მონაწილეობით. ღვინის სპეკულანტს დ. მეგრელიშვილს სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორნახევარი წლით და პირადი ქონების კონფისკაცია.

ღვინით გამდიდრების მოყვარულთათვის ეს შემთხვევა გაკვეთილი უნდა გახდეს.

სტიქია

გვალვა დაძლეულია

უზბეკეთის ბევრი რაიონი მძიმე პირობებში აღმოჩნდა — მდინარეებში იკლო წყალმა. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ფერგანის ხეობასა და რესპუბლიკის სამხრეთ ოლქებში. თითქმის ამოშრა ზოგიერთი მთის მდინარე, ხოლო შუა აზიაში უდიდეს ამუდარიაში ისე ცოტა წყალია, როგორც ამ ბოლო ას წელიწადში არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა მინდვრები ირწყვება. სურხანდარიის ოლქში, სადაც განსაკუთრებით დიდი გვალვაა, უკვე მეოთხედ რწყავენ ბამბას, კაშკადარიის ოლქში კი მესამედ. მცენარეები ნორმალურად ვითარდებიან.

2,7 მილიონ ჰექტარ სარწყავ უბნებზე წყლის განაწილებას ხელმძღვანელობს რესპუბლიკური სადისპეტჩერო პუნქტი. გვალვიან რაიონებში წყალს არხებით უშვებენ ათობით და ასობით კილომეტრზე. იყენებენ თერთმეტსავე ხელოვნურ ზღვას, რომლებიც ირიგაციის საჭიროებებისათვის შექმნეს. სასწრაფოდ გათხარეს რამდენიმე ახალი არხი, რომლებიც მდინარეებს აერთებენ. მდინარის ნაპირებზე დადგეს ორი ათასი დროებითი ტუმბო, სარწყავ წყალს მიწიდანაც კი იღებენ: ამ დღეებში აამოქმედეს ათასამდე არტეზიული ჭაბურღილი.

ადამიანის დაძაბული შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. გვალვა დაძლეულია. (საქდესი).

ტელევიზია

12 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი „ერთი ჩვენგანი", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ალექსანდრე პარხომენკო", 19.30 — „პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში" — „კომუნისტი", 19.50 — კონცერტი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „ადამიანი და სამყარო" — „დედამიწის მიზიდულობა". გადაცემა II, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — სცენები სპექტაკლებიდან, 22.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „შურისგება", 23.35 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — ექიმის საუბარი, 19.20 — განცხადებები, 19.25 — სატელევიზიო ფილმი, 19.55 — მხატვრული ფილმი „ღამის ზარი".

13 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა ბავშვებისათვის „ბურატინოს გამოფენა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — საქართველოს ფერადი, ტელევიზია. მხატვრული ფილმი „შურისგება", 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის — „ტელეკონკურსი", 18.30 — კინონარკვევი, 19.10 — „ჩვენი ქარხნის უქმე დღე", 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ", 19.55 — „კანონიერების სადარაჯოზე", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — გადაცემა „გიწვევთ პანსიონატი", 20.45 — მხატვრული ფილმი „ღამის ზარი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: მუსიკალური პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.00 — კინოპროგრამა, 19.30 — განცხადებები, 19.35 — გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში — II გადაცემა, 20.15 — ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე".

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8 ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 93-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 96443

უე 03013

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.